



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ოთარ ბიბილეიშვილი

იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშების ბიოლოგიური და სამეურნეო თვისებების შესწავლა

ქართული მევენახეობა-მელვინეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო
პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია აგრარულ მეცნიერებათა

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი - ირმა მდინარაძე

თბილისი 2018

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია მევენახეობის მიმართულებით და კვლევის მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშების - ციცქას, ცოლიკოურის, კრახუნას და კაპისტონი თეთრის ბიოლოგიური და სამეურნეო თვისებები, აგრეთვე, აღნიშნული ჯიშები შეგვეფასებინა ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) მიერ შემუშავებული დესკრიპტორების მიხედვით.

წარმოდგენილი ნაშრომი ხელს შეუწყობს ვაზის კიდევ ოთხი ქართული ჯიშის (ციცქა, ცოლიკოური, კრახუნა და კაპისტონი თეთრი) თანამედროვე მეთოდებით კვლევას მისთვის დამახასიათებელი ამპელოგრაფიული თუ სამეურნეო ნიშნით.

სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: სამაგისტრო ნაშრომი შედგება 74 გვერდისგან და მოიცავს ანოტაციას ქართულ და ინგლისურ ენაზე, შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვას, ექსპერიმენტულ ნაწილს (კვლევის ობიექტი, ცდის ჩატარების ადგილი, კვლევის მეთოდიკა, მიღებული შედეგები), დასკვნას, რეკომენდაციას და გამოყენებული ლიტერატურის სიას.

OIV-ის დესკრიპტორების შესაბამისად შესწავლილი ზემოთხსენებული ჯიშების ნიშნები გათვალისწინებული იქნება ვეგეტატიურ თაობაში სამეურნეო ღირებულებების ნიშან-თვისებების ქცევების პროგნოზირებისათვის, ჯიშის იდენტიფიცირებისთვის და სხვა.

Biological and Agronomical Study of White Grape Varieties Spread in Imereti

Otari Bibileishvili

Annotation

Master work is done in the viticulture field and the research aim is to study biological and agricultural qualities of white grapes types such as Tsitska, Tsolikouri, Krakhuna and Kapistoni White, which are spread in Imereti and to evaluate them according to OIV descriptors.

This work will help in research four more Georgian types of grapes (Tsitska, Tsolikouri, Krakhuna and Kapistoni White) by modern methods, which include type, quality and ampelographic research.

Master's volume and composition: Master's thesis consists of 74 pages and includes annotations in Georgian and English languages, content, introduction, literature review, experimental part (research object, place of testing, research methods, obtained results), conclusions, recommendations and list of used literature.

The researched characteristics of above mentioned grapes types according to OIV descriptors will be taken into consideration during vegetation periods, and for type identification.

სარჩევი

| | |
|--|-----------|
| ანოტაცია | 2 |
| Annotation | 3 |
| 1. შესავალი | 6 |
| 2. ლიტერატურის მიმოხილვა | 8 |
| ციცქას დახასიათება | 9 |
| ცოლიკოურის დახასიათება | 16 |
| კრახუნას დახასიათება..... | 23 |
| კაპისტონი თეთრის დახასიათება..... | 30 |
| 3. ექსპერიმენტული ნაწილი | 37 |
| 3.1.კვლევის აქტუალობა | 37 |
| 3.2.კვლევის მიზანი და ამოცანები | 39 |
| 3.3.კვლევის ობიექტი | 40 |
| 3.4.კვლევის მეთოდოლოგია | 40 |
| 3.5.კვლევის ჩატარების ადგილი | 43 |
| 3.6.ცდის შედეგები | 48 |
| ციცქას OIV დესკრიპტორებით აღწერის შედეგები | 48 |
| ცოლიკოურის OIV დესკრიპტორებით აღწერის შედეგები | 49 |
| კრახუნას OIV დესკრიპტორებით აღწერის შედეგები | 50 |
| კაპისტონი თეთრის OIV დესკრიპტორებით აღწერის შედეგები | 52 |
| 3.7.ციცქას, ცოლიკოურის, კრახუნას და კაპისტონი თეთრის OIV დესკრიპტორებით შეფასება | 54 |

| | |
|---|-----------|
| ციცქა | 55 |
| ცოლიკოური | 59 |
| კრახუნა | 63 |
| კაპისტონი თეთრი | 67 |
| 4. დასკვნა | 71 |
| 5. რეკომენდაცია | 73 |
| 6. გამოყენებული ლიტერატურა | 74 |

1. შესავალი

საქართველო ითვლება კულტურული ვაზის (*Vitis vinifera*) წარმოშობის ერთ-ერთ პირველ ცენტრად. სავარაუდოდ, ძვ. წ. აღ. 6000-4000 წლებიდან მომდინარეობს ვაზის სელექცია. აქედან, კულტურული ვაზი გავრცელდა ხმელთაშუა ზღვის აუზში, ახლო აღმოსავლეთში და ბოლოს ამერიკაში. ყურძნის წიპწები აღმოჩენილია ირანში, თურქეთში, სირიაში, ლიბანში და იორდანიაში. თუმცა, ქართული მასალების ასაკი და სახეობათა სრულყოფილება ნათლად მოწმობს, რომ საქართველოში ვაზის მოშენებისა და ღვინის დამზადება ძვ. წ. აღ. 7000 წლის წინ ან უფრო ადრე იყო.

გვიანი ქვის ხანის, ნეოლითის მონაცემების მიხედვით, კაცობრიობის კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ღვინის კულტურა სწორედ საქართველოდან მკვიდრდება.

ლეგენდის მიხედვით, როდესაც განმანათლებელი წმინდა ნინო საქართველოში შემოვიდა, მას ხელში ეჭირა ვაზისგან დამზადებული, საკუთარი თმით შეკრული ჯვარი. მას შემდეგ ვაზი ახალი რელიგიის სიმბოლოა. ასევე, ქართული ეკლესიის კარები ხშირად ვაზის ფიცრებისაგან კეთდებოდა. გავრცელებული იყო ვაზის ჩუქურთმის გამოყენება ტაძარ-მონასტრების მშენებლობის დროს. ქართველი ხალხი შორეულ წარსულში ვაზს „წმინდა“ მცენარეთ თვლიდა. ამიტომაც, ბუნებრივია ქართველი ადამიანის განსაკუთრებული ყურადღება ვაზის მოვლა-გაშენებისთვის.

საქართველო ღვინის სამშობლოა - ეს 7 ქვეყნის წამყვანმა სპეციალისტებმა 3 წლიანი კვლევის შემდეგ დაადასტურეს.

პროექტს ხელმძღვანელობდა პენსილვანიის უნივერსიტეტის მუზეუმის პროფესორი, ბიოქიმიკოსი და ღვინის ისტორიკოსი პატრიკ მაკგოვერნი. 2018 წლის 10-11 ოქტომბერს, ქალაქ ბორდოში, ღვინის ცივილიზაციის ქალაქში, ქართული ღვინის გამოფენის ფარგლებში, რომელსაც „საქართველო - ღვინის

სამშობლო“ ერქვა, გაიმართა ამ სამეცნიერო ჯგუფის შეკრება და საზოგადოებას წარედგინა აღნიშნული კვლევის შედეგები.

წამყვანი მეცნიერები 3 წლის განმავლობაში ზედმიწევნით იკვლევდნენ სხვადასხვა დროს მოპოვებულ მდიდარ არქეოლოგიურ მასალას, მათ შორის, ყურძნის უძველეს წიპწებს, თიხასა და თიხის ჭურჭელზე დანალექ მჟავას, რომელიც, საბოლოოდ ღვინის მჟავა აღმოჩნდა, რაც ყურძნისგან ღვინის მიღებას ადასტურებს.

ამ ყველაფერთან ერთად, საქართველო ასევე გამოირჩევა ვაზის ადგილობრივი ჯიშების მრავალფეროვნებით, რომელიც საქართველოს ამპელოგრაფიის (1960) მიხედვით 525 დასახელებას ითვლის. ვაზის ადგილობრივი ჯიშების რაოდენობისა და მათი მრავალფეროვნების მიუხედავად, სიღრმისეული და თანამედროვე მეთოდებით გამოკვლეული ჯიშების რაოდენობა მცირეა. აქედან გამომდინარე, ამ ნაშრომში წარმოდგენილია იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშების (ციცქა, ცოლიკოური, კრახუნა და კაპისტონი თეთრი) ბიოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებების თანამედროვე მეთოდოლოგიით შესწავლის შედეგები.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველოში მევენახეობისა და ვაზის ჯიშთმცოდნეობის საკითხების საფუძვლიანი შესწავლა დაიწყო 1930-იანი წლებიდან. ივანე ჯავახიშვილმა ნაშრომში „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ (წგნ. 2, 1934), განიხილა საქართველოში გავრცელებული ვაზის ადგილობრივი ჯიშები, წარმოშობა, გავრცელება და ძირითადი მაჩვენებლები, რამაც დიდი სამსახური გაუწია საქართველოში ვაზის ჯიშების აღდგენასა და შემდგომ შესწავლას. 1931 წელს აკადემიკოს სოლომონ ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით თელავში დაარსდა საკავშირო მევენახეობა-მელვინეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.

საქართველოში მევენახეობის განვითარების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვით ლ. ჯორჯაძეს, ილია წინამძღვრიშვილს, პ. იოსელიანს, ი. გუნცაძეს, ერმილე ნაკაშიძეს და სხვებს. ვაზის ახალი ჯიშები გამოიყვანეს ნ. ჩახნაშვილმა, ვ. ქანთარია (თბილისური, რქაწითელი მუსკატური), დ. ტაბიძემ (ქართული ადრეულა, სახალხო თეთრი), მაქსიმე რამიშვილმა, რ. რამიშვილმა (ივერია, კოლხური, ვარძია, ნაცრისფერი მუსკატი და სხვა) და სხვებმა.

საქართველოში მევენახეობისა და მელვინეობის შესახებ ისტორიული ცნობები ძირითადად დაცულია ძველ ბერძენ მწერალთა და საქართველოში მოგზაურთა ჩანაწერებსა და თხზულებებში. ამ ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ ქართველი ტომების ღვინო შორეულ წარსულში მაღალხარისხოვანი იყო. ქსენოფონტეს ცნობით, დაახლოებით 430-335 წელს კოლხები ღვინოს სვამდნენ, მაგრამ წყალნარევს, აქაური ღვინო უწყლოდ მწკლატე იყო, წყალნარევი კი - „სურნელოვანი და საამო“.

სტაბონის მიერ გადმოცემული ცნობებიდან ირკვევა, რომ ვაზი ფართოდ ყოფილა გავრცელებული ალბანეთ-კახეთის (იბერია) ტერიტორიაზე, ხოლო ყურძნის იმდენად უხვი მოსავალი მოდიოდა, რომ მას მოსახლეობა ვერ ითვისებდა და ამიტომაც მის ერთ ნაწილს დაუკრეფავად ტოვებდა.

საქართველო ვაზის (*V. vinifera* L.) ფორმათა წარმოქმნის პირველად კერად არის აღიარებული (Kolenati Fr. A., 1846; Вавилов Н.И., 1927; Негруль А. М., 1946; Жуковский П. М., 1973; რამიშვილი რ., 1972; 2001 და სხვა), რასაც აქ არსებული ადგილობრივი ვაზის ჯიშებისა თუ გარეული ფორმების სიმრავლე და არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები ადასტურებენ.

ქართული ვაზის ჯიშების პირველი კლასიფიკაცია კოლენატმა (Kolenati Fr. A., 1846) მოახდინა, რომლის მიხედვითაც კულტურული ვაზის ჯიშები იყოფა ორ ნაირსახეობად.

დღეისათვის, მევენახეობაში ა. ნეგრულის (Негруль А. М., 1946) კულტურული ვაზის აღიარებულ კლასიფიკაციაში ქართული ვაზის გენოფონდს მიკუთვნებული აქვს მაღალი ტაქსონომიური რანგი, რომლის მიხედვითაც კოლხეთის ფორმათა წარმოქმნის კერაში არსებული ჯიშები გაერთიანებულია *convar. pontica subconvar. Georgica Negr.*-ის ჯგუფში, ხოლო ალაზნის ფორმათა წარმოქმნის კერაში არსებული ჯიშები კი *Convar. orientalis subconvar. Caspica Negr.*-ის ჯგუფში.

ციცქას დახასიათება

ციცქა ადგილობრივი, ფართოდ გავრცელებული ვაზის ჯიშია, იძლევა მაღალხარისხოვან სუფრის ნაზ თეთრ ღვინოს. ზემო და შუა იმერეთში მას იყენებდნენ ცქრიალა ღვინის დასაყენებლადაც.

ზემო იმერეთის ზოგიერთ სოფელში ციცქა ცნობილია აგრეთვე შანთისა და ციცქოს სახელწოდებით, ხოლო შუა იმერეთის სოფლებში მას დამატებით მამალ ციცქას-უწოდებენ.

უცხოურ ამპელოგრაფიულ ნაშრომებში (ვიალა და ვერმორელი, გუიონი, პიულა და გოეთე) ციცქა მოხსენებულია და მოკლედ დახასიათებულია *Tsitska da*

Chanti სახელწოდებით. ციცქა ეკუთვნის Prol. pontica subprol. georgica Negr.-ის ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ ჯგუფს.

ციცქა წარმოშობილია კულტურული ვაზის ჯიშების წარმოქმნის კოლხეთის კერიდან და თავისი მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებებით მეტად ახლო დგას ამ კერის სხვა ვაზის ჯიშებთან.

ჯიშის წარმოშობის დროისა და ადგილის შესახებ ამომწურავი მასალები არ მოიპოვება, მაგრამ ის ფაქტი, რომ ყველაზე უძველეს აგრონომიულ ლიტერატურულ წყაროებში ციცქა სხვა ვაზის ჯიშებზე უფრო ადრეა მოხსენებული და აგრეთვე, რომ მას აქვს გავრცელების დიდი არეალი გვადლევს საფუძველს მივაკუთვნოთ იგი დასავლეთ საქართველოს უძველეს ვაზის ჯიშთა წყებას.

აკად. ივ. ჯავახიშვილს ციცქას წარმოშობის ადგილისა და სახელწოდების გამოსარკვევად მოჰყავს მსგავსი სახელწოდების სოფლები, სახელდობრ: ციცხე, ციცქიური და ფიქრობს, რომ ამ სოფლებთან უნდა იყოს დაკავშირებული თვით ჯიშის სახელწოდების წარმოქმნა და მისი პირვანდელი გავრცელება. ციცქას ბოტანიკური და სამეურნეო ნიშან-თვისებების დიდი მსგავსება ადგილობრივი ჯგუფის სხვა ვაზის ჯიშებთან, მისი ფართოდ გავრცელება იმერეთის თითქმის ყველა რაიონში და ჯიშის ფარგლებში განსხვავებული ფორმების არსებობა უდაოდ მოწმობს ჯიშის ადგილობრივ წარმოშობას და მის დიდ ხნიერებას.

ციცქა გავრცელებულია ძირითადად დასავლეთ საქართველოს მევენახეობის რეგიონებში. მას დიდი ფართობი უჭირავს ზემო და შუა იმერეთში, სადაც იგი ძირითადი საწარმოო ვაზის ჯიშია. აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში ციცქა მეტად მცირეაა გავრცელებული და გვხვდება ძირითადად ლაგოდეხის რაიონის სოფლებში.

იმერეთის რაიონებს შორის ციცქას უფრო მეტი გავრცელება შეიძლება აიხსნას ამ რაიონების ტერიტორიის შედარებით შემადლებული ადგილმდებარეობით და მთა-გორაკებიანი რელიეფით, რაც ხელს უწყობს ციცქისაგან უფრო ნაზი პროდუქტის მიღებას და ნაცრისაგან ნაკლებ დაავადებას.

ჯიში ცქრიალა ღვინის მრეწველობაში ფართოდ გამოიყენება. საქართველოს გარეთ ციცქა უკრაინასა და მოლდავეთშია, როგორც უხვმოსავლიანი და ხარისხოვანი საღვინე ჯიში.

ახალგაზრდა ყლორტი. ახალგაზრდა მოზარდი 15-20 სმ სიგრძის ყლორტების გვირგვინი და პირველი ორი ფოთოლაკი შებუსულია ორივე მხრიდან საკმაოდ სქელი აბლაბუდისებრი ბუსუსით და მოთეთრო ფერისაა, სუსტი მოვარდისფრო არშიით ფოთოლაკებისა და ყუნწის გასწვრივ. მეორე იარუსის მე-3 და მე-4 ფოთოლაკიდან დაწყებული მათი შებუსვა ზედა მხრიდან საგრძნობლად მცირდება და მომწვანო-ყვითელი ფერის ხდება ღია ბრინჯაოსფერი იერით. ფოთლების ქვედა მხარე შებუსულია სქელი მოთეთრო ქეჩისებური ბუსუსით. ყლორტის წვერი შებუსულია სქელი აბლაბუდისებური ბუსუსით, მომწვანო თეთრი ფერისაა მოვარდისფრო იერით.

კარგად შემოსული ერთწლიანი რქები შემოდგომით მოყვითალო რუხი ფერისაა მოყავისფრო იერით. მუხლები უფრო მუქადაა შეფერილი ვიდრე მუხლთაშორისები, უფრო ხშირად მუქ ყავისფრად. მუხლთაშორისები მოკლეა, საშუალოდ მათი სიგრძე 6-8 სმ უდრის, იშვიათად მასზე გრძელი ან მოკლეა.

შუა იარუსის (9-12) კარგად განვითარებული ფოთლები საშუალო ზომისაა (17X16 სმ), რომელთა სიგრძე მერყეობს 16-დან 20 სმ- მდე, ხოლო განი 15-დან 19 სმ-მდე. ფოთოლი სამნაკვეთიანია, უფრო ხშირად კი ხუთნაკვეთიანი. ფოთლის ფირფიტა მომრგვალო ან უფრო ხშირად ოდნავ წაგრძელებულია. ფოთლის ზედაპირი ბადისებურად დანაოჭებულია ან წვრილ ბურთულებიანია; მისი მოხაზულობა ტალღისებურია ან ფოთლის ნაკვეთების ზევით აწევის გამო ოდნავ ღარისებურია. ფოთლის ფირფიტა მუქი მწვანე ფერისაა, ზედა ამონაკვეთების სიღრმე საგრძნობლად ცვალებადობს. უფრო ხშირად გვხვდება ზეზეური და საშუალო სიღრმის ამონაკვეთები. ამონაკვეთების ფორმა დანაკვეთის სიღრმესთან შესაბამისად სხვადასხვაგვარია. ჩვეულებრივ გვხვდება შევიწროებულყელიანი, ან თითქმის პარალელურგვერდებიანი ღია ჩანგისმაგვარი ამონაკვეთები, იშვიათად ამონაკვეთები შეჭრილი კუთხისმაგვარი ან ნაპრალისებური ფორმისაა, ხოლო

უფრო იშვიათად გვხვდება აგრეთვე დახურული ამონაკვეთები ვიწრო ელიფსური ან მომრგვალო ფორმით. ამონაკვეთების ფუძე უფრო ხშირად მახვილია, იშვიათად იგი მომრგვალოა, კიდეც უფრო იშვიათად გვხვდება აგრეთვე ამონაკვეთები ცალკბილიანი ფუძით.

ქვედა ამონაკვეთები, როგორც წესი, უფრო სუსტადაა გამოსახული და ნაკლებად ღრმაა. უფრო ხშირად გვხვდება კუთხისმაგვარად შექრილი ან პარალელურგვერდებიანი ჩანგისმაგვარი ფორმის ამონაკვეთები წამახვილებული ფუძით. ხანდახან ქვედა ამონაკვეთები სულ არ არის, ან ისე სუსტადაა გამოსახული, რომ იგი თითქმის შეუმჩნეველია.

ყუნწის ამონაკვეთის ფორმა შედარებით მცირედ მერყეობს. უფრო ხშირად გვხვდება მახვილფუძიანი ჩანგისმაგვარი ან თალისმაგვარი ამონაკვეთები. ბუნებრივ პირობებში ფოთლის ნაკვეთების ზევით აწევის გამო ყუნწის ამონაკვეთი დახურული გვეჩვენება, მაგრამ ფოთლის გასწორების შემდეგ იგი ჩვეულებრივ ღიაა.

ფოთლის მთავარი ძარღვები ბოლოვდება სამკუთხედისმაგვარი მახვილწვერიანი კბილებით, იშვიათად ოდნავ გამოწეულგვერდებიანი სამკუთხედისებრი კბილებით. მეორე რიგის ძარღვები ბოლოვდება ხერხის კბილებისმაგვარი ფორმის კბილებით.

ფოთლის ქვედა მხარე შებუსულია სქელი აბლაბუდისებური ბუსუსით, რომელსაც ქვემოდან თან ერთვის საკმაოდ ხშირი ჯაგრისებური ბუსუსი. ფოთლების შებუსვა რქის გასწვრივ ზემოდან ქვემოთ მატულობს, რის გამო ქვედა იარუსის ფოთლები ქეჩისებურად შებუსულია. ფოთლის ყუნწი გლუვია, მისი სიგრძე ერთი მეოთხედით ნაკლებია ფოთლის მთავარ ძარღვზე, ღია მწვანე ფერისაა და ზოგჯერ მოვარდისფრო იერი ახლავს.

ყვავილი. ნორმალური აგებულების ყვავილი ორსქესიანია. უფრო ხშირად ყვავილში 5 მტვრიანები სწორმდგომია. მტვრიანათა ძაფების სიგრძე უდრის ბუტკოს სიმაღლეს ან ოდნავ მასზე მეტია. მტვრიანათა ძაფების სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან უდრის 1,0 ან 1,25. ბუტკო დადარულია, აქვს

მსხლისებური ფორმა, კარგად გამოსახული ცილინდრული ყელი (სვეტი) და ორად გაყოფილი დიდი დინგი.

მტევანი. ციცქას მტევანი საშუალო ზომისაა. მტევნების სიგრძე მერყეობს საშუალოდ 12-დან 18 სმ-მდე, ხოლო მათი განი 6-დან 12 სმ-მდე. საშუალო მტევნის სიგრძე-სიგანე 14X8 სმ შეადგენს. მტევნის ძირითადი ფორმა კონუსისებური ან ცილინდრულ-კონუსისებურია, იშვიათად გვხვდება აგრეთვე ცილინდრული ფორმის მტევანიც. ხშირად მტევნები მხრიანია, მხრების ზომა აღწევს ძირითადი მტევნის სიგრძის ნახევარს.

მტევანი ძლიერ მკვირივია, მასთან ერთად გვხვდება მკვირივი და იშვიათად საშუალო სიმკვირვის მტევნებიც. მტევნის ყუნწი საკმაოდ გრძელი და მკვირივია, მისი სიგრძე მერყეობს 2,5-დან 5 სმ-მდე, საშუალოდ იგი 3-4 სმ უდრის. ყუნწი ბალახისებურია, ფუძესთან ხევდება და იღებს რქის ფერს. მარცვლის ყუნწი მწვანეა, სიგრძით 4-4,5 მმ, მარცვლის ბალიში კონუსისებური ფორმისაა და დაფარულია მოყავისფრო ხორკლებით.

მარცვალი. მარცვალი საშუალო ზომისაა. მისი სიგრძე მერყეობს 15-დან 19 მმ-მდე, განი 14-დან 18 მმ-მდე, ხოლო საშუალოდ 16,5-15,5 მმ უდრის. მარცვალი ძირითადად მომრგვალოა, იშვიათად ოდნავ ოვალური ფორმისაა და სიმეტრიული. მარცვალი მომწვანო-ყვითელია, მზის მხარეზე მოქარვისფრო იერთ.

მარცვლის კანი დაფარულია საკმაოდ სქელი ცვილისებური ფიფქით, რომლიდანაც გამოკრთის რუხი წინწკლები. მარცვლის კანი თხელია, მაგრამ საკმაოდ მკვირივი. რბილობი წვნიანია, მდნარი. წვენი უფერული, გემო ხალისიანი ტკბილი. ჯიშის სპეციფიკური არომატი მარცვალში მცირედ არის გამოსახული.

წიპწა. წიპწების რაოდენობა მარცვალში მერყეობს 1-დან 4-მდე, უფრო ხშირად მარცვალში ორი წიპწაა. წიპწა მსხლისმაგვარი ფორმისაა და მოყავისფროა. წიპწის სიგრძე უდრის 7-7,5 მმ, ხოლო განი 4,5-5,0 მმ. ქალაძა წიპწის ზედა ნაწილში მდებარეობს, მისი ფორმა ელიფსურია, იშვიათად მომრგვალო, იგი ოდნავ გამოწეულია ან ბრტყელი. ზედა ღარი ნაკლებად ღრმაა და მკვეთრად არ

ყოფს წიპწის ზედა ნაწილს. ღარტაფი ქალაქიდან ნისკარტისაკენ კარგად ემჩნევა. მუცლის მხარე ქედიანია. მუცლის მხარეს ღარები საშუალო სიღრმისაა, განწყობილია პარალელურად და ქრება ნისკარტის არეში. ნაწიბური კარგად გამოსახულია წიპწის მთელ სიგრძეზე. ნისკარტი მსხვილი და მოყვითალოა, სიგრძე 2 მმ, განი 1,5 მმ უდრის, რომელიც წვერისკენ ოდნავ შევიწროებულია.

სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობა საგრძნობლად ცვალებადობს, დასახელებულ ადგილების ეკოლოგიური პირობებისა და, პირველ რიგში, ცალკეული წლების მეტეოროლოგიური ფაქტორების გავლენით. როცა სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა მოკლდება და აქტიურ ტემპერატურათა ჯამი (უკრაინა, კახეთი) მცირდება, ჯიში იძულებულია გააგრძელოს თავისი სავეგეტაციო პერიოდი, რომ უფრო სრულად ამოწუროს შემოკლებული პერიოდის სითბოს რესურსები და მოასწუროს მომწიფება.

ციცქა მისი გავრცელების თითქმის ყველა რაიონში ნაგვიანევი სიმწიფით ხასიათდება, იგი სიმწიფის IV პერიოდის ჯიშია.

უკრაინისა და კახეთის პირობებში ციცქა მხოლოდ ზოგიერთ წლებში აღწევს სრულ სიმწიფეს. აღნიშნულის მიუხედავად მისი ერთწლიანი ნაზარდი (რქები), როგორც იმერეთში, ისე კახეთში და უკრაინაშიაც თავისუფლად ასწრებს მომწიფებას და კარგად შემოსული და გახვევებული ხვდება ზამთრის ყინვებს.

მოსავლიანობა. სხვა ადგილობრივი ჯიშების მსგავსად ციცქა შედარებით ადრე იძლევა პირველსა და სრულ მოსავალს. მისი ნამყენები დარგვიდან მეორე წელს იძლევა პირველ ნიშანს, ხოლო მეოთხე წლიდან – სრულ მოსავალს.

ციცქა უხვმოსავლიანი ვაზის ჯიშია. იმერულ საწარმოო ვაზის ჯიშებს შორის მას უდავოდ პირველი ადგილი უჭირავს როგორც მოსავლიანობით, ისე პროდუქციის ხარისხითაც. ციცქის მაღალ სამეურნეო თვისებების წარმოქმნა-განვითარებაში ნათლად ჩანს ხალხის მრავალსაუკუნოვანი შეგნებული შერჩევისა და მოვლა-აღზრდის გავლენა. იგი ახლაც ინარჩუნებს პირველობას იმერული ვაზის ჯიშებს შორის.

ციცქას მოსავლიანობა ადგილმდებარეობის, ნიადაგის თვისებების, კვების არის, გასხვლა-ფორმირებისა და ცალკეული წლების მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად საგრძნობლად ცვალებადობს.

ციცქას მოსავალი ტყის კარბონატულ ნიადაგებზე, ვაზების ორმხრივი შპალერის წესით გასხვლისა და კარგი მოვლა-დამუშავების პირობებში საშუალოდ 100-120 ცენტნერს შეადგენს, ხოლო ცალკეული წლების ხელშემწყობ მეტეოროლოგიურ პირობებში ციციქას მოსავალი 200 ცენტნერამდე აღწევს.

მტევნების გარეგნული შეხედულება, წვენის ქიმიური შედგენილობა და მტევნებისა და მარცვლების მექანიკური ანალიზის მონაცემები ნათლად მიგვითითებს ჯიშის საღვინედ გამოყენების უპირატესობაზე. მართლაც, ციციქა წმინდა საღვინე ჯიშია, იგი იძლევა მაღალი ღირსების სუფრის თეთრ ღვინოს და კარგ მასალას ცქრიალა ღვინისათვის.

ცალკეული წლების მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად წვენის გამოსავლიანობა ლაბორატორიულ პირობებში მერყეობს 72,5-დან 85%-მდე.

ყურძნის წვენის ქიმიური შედგენილობა ჯიშური თვისებების გარდა დამოკიდებულია ვენახის ადგილმდებარეობაზე და წლის მეტეოროლოგიურ პირობებზე. ციციქა, როგორც საგვიანო ვაზის ჯიში გრძელი სავეგეტაციო პერიოდის მანძილზე დიდი რაოდენობით აგროვებს შაქარს (ზოგიერთ წლებში 30%-მდე).

განსაკუთრებით მაღალხარისხოვანი სუფრის თეთრი ღვინოები დგება შუა იმერეთში მდ. ყვირილას მარჯვენა ნაპირზე მდებარე-სვირის, კვალითის, ფუთის, ილემის და მათ მეზობელ მიკრორაიონებში. ამ მიკრორაიონების ღვინოები გამჭვირვალე, მოყვითალო ჩალისფერია, ხასიათდება საკმაო სხეულით, ენერგიითა და სიხალისით, ხოლო სიძველეში უფრო ნაზი, ჰარმონიული ხდება და ივითარებს ხილის ძლიერ ბუკეტს.

ცოლიკოურის დახასიათება

ცოლიკოური ადგილობრივი ვაზის ჯიშია. იგი ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოს მევენახეობის რეგიონებში და იძლევა მაღალხარისხოვან სუფრის თეთრ და ბუნებრივად ნახევრადტკბილ სადესერტო ღვინოს.

უცხოურ ამპელოგრაფიულ ნაშრომებში ცოლიკოური აღწერილი და მოკლედ დახასიათებულია “თსოლიკოოური“-ს სახელწოდებით. ცოლიკოური იმერული ვაზის ჯიშია. თავისი მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშანთვისებების მიხედვით იგი მეტად ახლო დგას დასავლეთ საქართველოს მთავარ ვაზის ჯიშებთან.

ვ. სტაროსელსკის საკმაოდ ვრცლად აქვს აღწერილი ჯიში ცოლიკოური, დასახელებულია მისი გავრცელების ადგილები, სახელდობრ, სოფლები: ბაზალეთი, ლაშე, თეთრაწყარო და აგრეთვე სოფ. ობჩა, სადაც ცოლიკოური “ობჩურის” სახელწოდებით არის ცნობილი.

ძველად ბაზალეთური ცოლიკოურის ღვინო დიდი პოპულარობითა და სახელით სარგებლობდა. აღნიშნული მონაცემებისა და მოყვანილი მოსაზრებების საფუძველზე შეიძლება დადასტურებულად ჩაითვალოს, რომ ეს ორი ჯიში სულ სხვადასხვაა. მათგან პირველი – ბაზალეთური ცოლიკოური უდავოდ უძველესი ჯიშია და მას უნდა მიეკუთვნოს ის ისტორიული სახელი, რომელიც მოხსენებულია შედარებით ძველ (ილ. ბახტაძე, ვ. სტაროსელსკი,) სასოფლო სამეურნეო ლიტერატურაში, ხოლო მეორე – ობჩური ცოლიკოური შედარებით უფრო ახალი ჯიშია და სოკოვან დაავადებათა შემოჭრის შემდეგ არის გამოვლენილი, როგორც ჭრაქისა და ნაცრის მიმართ შედარებით გამძლე, მოსავლიანი და ხარისხოვანი პროდუქციის მიმცემი ჯიში, რომელმაც მალე მიიპყრო მევენახეთა ყურადღება და მოიპოვა ფართო გავრცელება.

ცოლიკოური უნივერსალური ჯიში გახდა დასავლეთ საქართველოს მშრალი და ტენიანი თითქმის ყველა (სერი, ბარი) ადგილისათვის. გავრცელების არეალისა და ვენახების ფართობის სიდიდის მიხედვით ცოლიკოურს რქაწითელის შემდეგ პირველი ადგილი უჭირავს საქართველოში.

ახალგაზრდა მოზარდი (15-20 სმ სიგრძის) ყლორტის წვერები დაწყებული გვირგვინიდან, მეორე ზოგჯერ მესამე, ჯერ კიდევ გაუშლელ ფოთოლაკის ჩათვლით შებუსვილია სქელი ქეჩისებური აბლაბუდისებური ბუსუსით და აქვს მორუხო-თეთრი ფერი, სუსტი მოვარდისფრო იერით. მესამე ფოთოლაკიდან შებუსვა ზედა მხრიდან მცირდება და მომწვანო-მოყვითალო ფერისა ხდება, მონარინჯისფრო იერით. ფოთლები ქვედა მხარეს სქელ ქეჩისებურ შებუსვას და მორუხო თეთრ ფერს ინარჩუნებს თითქმის მე-4 მე-5 ფოთლამდე.

ერთწლიანი კარგად შემოსული რქა შემოდგომით მუხლთაშორისების გასვწრივ მოყავისფრო-ყვითელი ფერისაა, ხოლო მუხლები მუქი მიხაკისფერია. მუხლთაშორისების სიგრძე მერყეობს საშუალოდ 8-დან 16 სმ-მდე და საშუალოდ 10-12 სმ უდრის.

კარგად განვითარებული შუა იარუსის (9-12) ფოთლები საშუალოზე დიდი ზომისაა, ფორმით მომრგვალო. ფოთლის სიგრძე მერყეობს საშუალოდ 18-დან 22 სმ-მდე, ხოლო განი 17-დან 21 სმ-მდე. ფოთლის ფირფიტა უფრო ხშირად სამნაკვეთიანი, მთლიანი ან თითქმის დაუნაკვეთავია, იშვიათად გვხვდება აგრეთვე ხუთნაკვეთიანი ფოთლებიც. ფოთლის ზედაპირი გლუვია. იშვიათად იგი ბადისებურად დანაოჭებულია, ქვედა ნაკვეთების ბოლოები ოდნავ დახრილია ძირს. ფოთოლი მუქი მწვანე ფერისაა, ხშირად მისი ზედაპირი სწორია, რაც დამახასიათებელია ჯიშისათვის.

ზედა ამონაკვეთები უფრო ხშირად ზეზეურია, იშვიათად გვხვდება აგრეთვე საშუალო სიღრმის ამონაკვეთებიც. ამონაკვეთები პარალელურგვერდებიანი ჩანგისმაგვარია, იშვიათად გვხვდება ელიფსური ან შეჭრილი კუთხისმაგვარი ამონაკვეთებიც. ამონაკვეთების ფუძე ჩვეულებრივ წამახვილებული ან იშვიათად მომრგვალოა. ქვედა ამონაკვეთები – ნაკლებად განვითარებული და ზეზეურებია. ზოგჯერ ოდნავ შესამჩნევია ან შეჭრილი კუთხისმაგვარია. ხშირად ქვედა ამონაკვეთები სულ არაა გამოსახული. ყუნწის ამონაკვეთი ღია, მახვილფუძიანია, ფორმით შვილდისებური ან შევიწროებულყელიანი ჩანგისმაგვარია, იშვიათად გვხვდება მთლიანად

დახურული უთვლო ამონაკვეთები ერთიმეორეზე გადასული ნაკვეთების ბოლოებით. ფოთლის მთავარი ძარღვი მთავრდება მახვილწვერიანი, განიერფუძიანი, ოდნავ გვერდებგამოწეული სამკუთხედისმაგვარი კბილებით, იშვიათად გვხვდება აგრეთვე მახვილწვერიანი, ცალგვერდგამოწეული სამკუთხედისმაგვარი კბილებიც. ფოთლის გვერდითი კბილები უფრო ხშირად ხერხისკბილებისებური ცალგვერდგამოწეული სამკუთხედისებურია.

ფოთლის ქვედა მხარე შებუსულია სქელი ქეჩისმაგვარი ბუსუსით, რომლის ქვეშ მოფენილია საკმაოდ სქელი ჯაგრისებური ბუსუსი, ორივე ერთად ქმნის სქელ ქეჩისებურ შებუსვას. ფოთლის ყუნწი ოდნავ მოკლეა ან ფოთლის შუა ძარღვის სიგრძეს უდრის. ყუნწი მოწითალო ღვინისფერია, ხშირად ეს შეფერვა გადადის ფოთლის მთავარ ძარღვებზედაც, უფრო ხშირად მათი განტოტვის ადგილის მახლობლად.

ყვავილი. ნორმალური აგებულების ყვავილი ორსქესიანია. მტვრიანები სწორმდგომი ან ოდნავ გადახრილია გვერდზე.

მტევნები საშუალო ზომისაა. მათი სიგრძე მერყეობს საშუალოდ 14-დან 16 სმ-მდე. მტევნის ფორმა კონუსისებრი ან განიერ-კონუსისებურია, ხშირად მხრიანია. მხრების სიგრძე ძირითადად მტევნის სიგრძის ერთ მესამედს ან ნახევარს უდრის. იშვიათად გვხვდება აგრეთვე დატოტვილი უფორმო მტევნებიც. მტევანი საშუალო სიკუმსის ან ოდნავ თხელია. ჯიშს ნორმალურზე მეტი ყვავილცვენა ახასიათებს. მტევნის ყუნწის სიგრძე მერყეობს საშუალოდ 3-დან 5 სმ-მდე. იგი ბალახისებურია, ხევდება და იღებს მოყვითალო მიხაკის ფერს.

მარცვლის ყუნწი ღია მწვანე ფერისაა, მისი სიგრძე საშუალოდ უდრის 5-6 მმ. ბალიში კონუსისებრი ფორმისაა და დაფარულია ყავისფერი ხორკლებით. მარცვალი საშუალო ზომისაა, მისი სიგრძე საშუალოდ 1,5-დან 1,7 სმ-მდე, ხოლო განი 1,45-დან 1,65 სმ-მდე მერყეობს. მსხვილი მარცვლების სიგრძე 1,8-2,0 სმ, ხოლო განი 1,75-1,95 სმ აღწევს. მარცვლის ფორმა მომრგვალოა, იშვიათად შეზნექილი ან ოდნავ ოვალური ფორმის მარცვლებიც გვხვდება. მარცვალი სიმეტრიულია, შუაში განიერია და ბოლო მომრგვალებული აქვს. მარცვალი

მომწვანო-ყვითელია და ყავისფერი ლაქები აქვს მზისკენ მიქცეულ მხარეზე. მარცვლის კანი სქელი და უხეშია, რომელიც დაფარულია საშუალო სისქის ცვილისებრი ფიფქით. რბილობი მკვრივი, წვნიანი, გემო ტკბილი სასიამოვნო აქვს. ჯიშური არომატი ძლიერ სუსტადაა გამოსახული.

მარცვალში წიპწების რაოდენობა მერყეობს 1-დან 4-მდე. საშუალოდ ერთ მარცვალზე 1,88 წიპწა მოდის. წიპწა განიერ-ოვალური ფორმისაა, მისი სიგრძე უდრის 7,5-8 მმ, ხოლო განი 4,5-5 მმ. წიპწის სხეული ყავისფერია, ხოლო ნისკარტისაკენ ოდნავ მოყვითალოა.

სავეგეტაციო პერიოდი და მისი ფაზების მსვლელობა. სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობის დასახასიათებლად ქვემოთ მოტანილია ფენოლოგიური დაკვირვებანი, წარმოებული მევენახეობის სხვადასხვა ზონაში, სახელდობრ: მევენახეობის საქარის საცდელ სადგურზე ქ. ზესტაფონის მახლობლად - ვენახი გაშენებული იყო ვაკეზე 149,2 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან, ვაზი ფორმირებულია შპალერის წესით სარ-მავთულზე; კახეთში ფენოლოგიური დაკვირვებანი წარმოებდა მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის საკოლექციო ვენახში, ქ. თელავის მახლობლად - ვენახი გაშენებული იყო ცივ-გომბორის მთის ჩრდილო-აღმოსავლეთით სუსტად დაქანებულ ფერდობზე ზღვის დონიდან 562,3 მ სიმაღლეზე, ვაზები ფორმირებულია ორმხრივი შპალერის წესით და გაბმულია მავთულზე.

როგორც დაკვირვებათა შედეგებიდან ჩანს, ცოლიკოურის სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა, ცალკეული ზონების ეკოლოგიურ პირობებთან შეფარდებით საგრძნობლად ცვალებადობს. საერთოდ შემჩნეულია, რომ ჩრდილოეთისაკენ და მაღლა მთებში გადანაცვლებისას ჯიშის სავეგეტაციო პერიოდი მოკლდება და ვაზი უფრო ნაკლებ აქტიურ ტემპერატურათა ჯამით კმაყოფილდება, ვიდრე მთისწინა ზოლში და სამხრეთ ზონებში. ამ შემთხვევაში ცოლიკოურის სავეგეტაციო პერიოდის ოდნავი შემოკლება კახეთში აღნიშნული მიზეზების გარდა გამოწვეულია აგრეთვე ატმოსფერული ნალექების ჯამის შემცირებით დაახლოებით 1200 მმ-დან (ქ. ზესტაფონი) 700-800 მმ-მდე (ქ.

თელავი). ძირითადად ამ მიზეზებით უნდა აიხსნას სავეგეტაციო პერიოდის აღნიშნული ცვალებადობა იმერეთის და კახეთის პირობებში. ხსენებულ ადგილებში ყურძნის სიმწიფეზე წარმოებულ დაკვირვებათა მიხედვით ცოლიკოური საგვიანო, სიმწიფის IV პერიოდის ვაზის ჯიშებს უნდა მიეკუთვნოს. მართლაც, ყველა დასახელებულ ზონაში იგი გვიან, შემოდგომის მიწურულში მწიფდება.

ცოლიკოური შედარებით ადრე იწყებს პირველ და სრული მოსავლის მოცემას. ჩვეულებრივ, დარგვის მეორე წლიდან იგი იძლევა პირველ ნიშანს, ხოლო მეოთხე წლიდან სრულ მოსავალს. კარგი მოვლისა და ვაზების ადრე გაფორმების შემთხვევაში მას მესამე წლიდანაც შეუძლია სრული მოსავლის მოცემა. მაგალითად, სოფ. წალენჯიხაში ი. მალაშხია ცოლიკოურის ვაზების კარგი მოვლით და ადრე ფორმირებით მესამე წლიდან იღებდა სრულ მოსავალს.

ცოლიკოური უხვმოსავლიანი ჯიშია, მაგრამ მისი მოსავლიანობა დიდად არის დამოკიდებული როგორც ადგილის ეკოლოგიურ პირობებზე, ისე ვაზის გასხვლა-ფორმირებასა და დროულ მოვლა-დამუშავებაზე. უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა ვენახების მოვლა დამუშავება და დიდად გაიზარდა ვენახების მოსავლიანობაც.

პროფ. თ. კვარაცხელიას მიხედვით შუა იმერეთში ორმხრივი შპალერის წესით ფორმირებული და 20-24 კვირტით დატვირთული ცოლიკოური იძლევა 80-100 ც, ხოლო კორდონზე 40-60 კვირტით დატვირთული 120-160 ც ყურძენს. უფრო მაღალი მოსავლიანობით ცოლიკოური ხასიათდება ქვემო იმერეთის-ვანისა და ბაღდათის რაიონებში, აქ მისი მოსავლიანობა ცალკეულ ნაკვეთებზე ზოგჯერ 200 ცენტნერს აღწევს.

საქარის საცდელ სადგურზე ჩატარებული აღრიცხვების მიხედვით ცოლიკოურის მოსავლიანობა კვების არისა და ნიადაგური თვისების მიხედვით ცალკეულ რაიონებში შემდეგნაირად ცვალებადობს: საჩხერის რ-ნის სოფ. სავანეში 1,5X1,5 მ კვების არეზე ცოლიკოურის მოსავლიანობა გამონაცრულ, ნეშომპალა-კარბონატულ, მძიმე ქვეთიხნარ ნიადაგებზე 116,38 ცენტნერს უდრიდა.

ცოლიკოურის ყურძნის გარეგნული შეხედულება, მისი მარცვლების გემო, მტევნის მექანიკური შენება და წვენის ქიმიური შედგენილობა საზღვრავს მისი ღვინის დასაყენებლად გამოყენების მიზანშეწონილობას. მართლაც, პირველ რიგში ცოლიკოურიდან სხვადასხვა ტიპის სუფრის ღვინოს აყენებენ, რომელიც მაღალი გემური თვისებით და მდიდარი ქიმიური შედგენილობით ხასიათდება.

ცოლიკოურის მტევნის მექანიკური შედგენილობის მაჩვენებლები, ისე როგორც სხვა ჯიშებისა, ძლიერ მერყეობს როგორც ადგილმდებარეობის და წლის მეტეოროლოგიური ფაქტორების, ისე ცალკეული მტევნების სიდიდისა და სიმკვრივის მიხედვით. უკანასკნელი მიზეზებით გამოწვეული განსხვავება ზოგჯერ აჭარბებს ჯიშებს შორის არსებულ განსხვავებას და მხოლოდ მათ შორის მკვეთრი განსხვავების შემთხვევაში იგი გამოსადეგია ჯიშის დასახასიათებლად.

ჯიშებს შორის განსხვავების დასადგენად საჭიროა, რაც შეიძლება თანაბარ პირობებში, ერთნაირი წესებით და ერთდროულად მოხდეს ყურძნის გადამუშავება შესაძარბელი მასალის მისაღებად. წვენის გამოსავალი ცოლიკოურის ყურძნიდან ლაბორატორიულ პირობებში საკმაოდ მაღალია. წარმოების პირობებში მისი გამოსავალი უფრო ნაკლებია და შეადგენს საშუალოდ 72,8-75,8%, ხოლო ჭაჭისა 27,7-27,2%.

იმერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილის შემადლებულ ადგილებში (ჭიათურა, საჩხერე) ცოლიკოური ნაკლებად, მაგრამ სუფრის ღვინისათვის სავსებით საკმაო რაოდენობით აგროვებს შაქარს. შუა და ქვემო იმერეთის ზონებში ცოლიკოური უფრო მეტი რაოდენობით აგროვებს შაქარს და ღვინოც უფრო სრული და ენერგიული დგება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ცოლიკოური მაღალშაქრიანობასთან ერთად, სუფრის ღვინისათვის საკმაო რაოდენობით ინარჩუნებს სიმჟავეს, რაც იძლევა მაღალალკოჰოლიანი, სრული, ენერგიული, საკმაოდ ხალისიანი ღვინის მიღების საშუალებას, შაქრის უფრო ინტენსიური დაგროვება ხდება სექტემბერში, ვიდრე აგვისტოსა და ოქტომბერში.

მწიფობის პერიოდში შაქრის დაგროვების მიმდინარეობის შეჩერება ან კლება ზოგჯერ გამოწვეულია ატმოსფერული ნალექების გავლენით.

ცოლიკოური ფართოდ გავრცელებული ვაზის ჯიშია. მისი ყურძნიდან, როგორც იმერეთში, ისე გურია-სამეგრელოში, აფხაზეთსა და რაჭა-ლეჩხუმში აყენებენ ადგილობრივი და ევროპული ტიპის სუფრის და ბუნებრივად ნახევრადტკბილ თეთრ ღვინოს. მცირე რაოდენობით მას იყენებენ აგრეთვე საჭმელად და ადგილობრივი ტკბილეულის (ჩურჩხელა, ფელამუშები და სხვ.) დასამზადებლად.

ცოლიკოური – ღვინის მაღალი ღირსებით, მოსავლიანობითა და სოკოვან დაავადებათა მიმართ კარგი გამძლეობით ხასიათდება, ძირითადად ამით აიხსნება მისი ასე ფართოდ გავრცელება ამჟამად დასავლეთ საქართველოს მევენახეობის რეგიონებში.

ცოლიკოურის ღვინო მაღალხარისხოვანი დგება, როგორც იმერულ, ისე ევროპულ წესით დაყენებისას. ევროპულ წესით დამზადებული ცოლიკოურის ღვინო გამჭვირვალე, ღია ყვითელი ფერისაა, ხასიათდება შინაარსით, შემადგენელ ნაწილების ჰარმონიული შეზავებით, თავისებური ჯიშური არომატით ახალგაზრდობაში და ნაზი ბუკეტით სიძველეში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ცოლიკოურის ბუნებრივად ნახევრად-ტკბილი ღვინო `ტვიში დამზადებული ცაგერის რაიონის სოფ. ტვიშის მიკრორაიონში. ამ ღვინოს ახასიათებს ნაზი გემო, ხილის არომატი, სიტკბო და ბუნებრივი ცქრიალი.

კრახუნას დახასიათება

კრახუნა ადგილობრივი თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშია, მისგან მზადდება იმერული ტიპის მაღალალკოჰოლიანი სასუფრე თეთრი ღვინო. ჯიში გამოსადეგია აგრეთვე მაგარი და სადესერტო ღვინოების დასამზადებლად. კრახუნა გავრცელებულია ძირითადად იმერეთში.

თავისი მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებებით კრახუნა თავისუფლად შეიძლება მიეკუთვნოს *prol. pintica*, *sub prol. georgica* Negr.-ის ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ ჯგუფს, რომელიც კულტურული ვაზის ჯიშების ფორმათა წარმოქმნის კოლხეთის კერიდან არის წარმომდგარი.

დასავლეთ საქართველოს ვაზის მთავარ საწარმოო ჯიშებისაგან კრახუნა განსხვავდება ძირითადად უფრო ნაადრევი სიმწიფით და მარცვლის ოვალური ფორმით. ამის გამო ზოგიერთი სპეციალისტი (ვ. სტაროსელსკი და სხვ.) კრახუნას კახეთიდან შემოტანილ ჯიშად თვლიდა, მაგრამ აღნიშნულის დასადასტურებლად არავითარი დასაბუთება, გარდა საკუთარი მოსაზრებისა, არა აქვთ მოყვანილი.

ეს მოსაზრება არ უნდა შეეფერებოდეს სინამდვილეს, რადგან, ერთი მხრივ, კრახუნა თავისი მორფოლოგიური ნიშან-თვისებებით გაცილებით უფრო ახლო დგას დასავლეთის, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს ვაზის ჯიშებთან, ხოლო, მეორე მხრივ, არსებული წყაროების მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოში კრახუნა ძველად გავრცელებული არ ყოფილა და არც ახლა არის.

მეტად საინტერესო მოსაზრება ჯიშ კრახუნას წარმოშობასთან დაკავშირებით მოყვანილი აქვს თავის კაპიტალურ ნაშრომში აკად. ივ. ჯავახიშვილს. მისი განმარტებით კრახუნა მარცვლის თვისების გამომხატველი იმერული წარმოშობის სიტყვაა. დასავლეთ საქართველოში ამბობენ: მარცვალი პირში სკდება, კრახუნობს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში კრახუნა კნატა-კნუტს, კნატუნს ნიშნავსო. ცხადია, ჯიში რომ აღმოსავლეთ საქართველოდან იყოს წარმოშობილი მას ალბათ ან კნატუნა ერქმეოდა, ან სხვა ამის მაგარი და მორფოლოგიური ნიშან-თვისებებითაც მათი მსგავსი იქნებოდა.

ჯიშის წარმოშობის დროის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ის ფაქტი, რომ კრახუნა ჯერ კიდევ გასული საუკუნის პირველ ნახევარში საკმაოდ ცნობილი ჯიში იყო უფლებას გვაძლევს იგი საშუალო ხნიერების ვაზის ჯიშთა ჯგუფს მივაკუთნოთ. ძველად კრახუნა უფრო ფრთოდ იყო გავრცელებული და იმერეთის ზოგიერთ მიკრორაიონს (სვირი, ოზჩა) მან საერთო აღიარება და საპატიო სახელი მოუპოვა.

სოკოვან დაავადებათა და ფილოქსერის შემოჭრის შემდეგ კრახუნას ჭრაქისა და ფილოქსერის მიმართ სუსტი გამძლეობის გამო მისი ვენახები სწრაფად შემცირდა, ხოლო ახალ ნაგრავებშიაც აღნიშნული მიზეზების გამო მას შედარებით ნაკლებად ავრცელებდნენ.

ამჟამად კრახუნას გავრცელების ძირითადი ადგილებია შუა იმერეთის შემდეგი სოფლები: სვირი, კვალითი, ოზჩა, დიმი, ფერსათი, ბაღდათი, ზესტაფონი, ქვედა საქარა, არგვეთა და სხვა. ზემო იმერეთში კრახუნა მცირედ არის გავრცელებული, ხოლო ქვემო იმერეთში იგი იშვიათად გვხვდება.

ახალგაზრდა მოზარდი ყლორტის გვირგვინი და პირველი ორი ჯერ კიდევ გაუშლელი ფოთოლაკი შებუსულია სქელი ქეჩისებური ბუსუსით, მომწვანო თეთრი ფერისაა, რომლებსაც ღია მოვარდისფრო არშია აკრავს გვირგვინისა და ფოთოლაკების ირგვლივ. მესამე და მეოთხე ფოთლების შებუსვა ზემო მხრიდან მცირდება და მომწვანო-ყვითელი ხდება ნარინჯის იერით, ხოლო ქვედა მხრიდან შებუსვის შემცირების გამო მორუხო თეთრია. ყლორტის შებუსვა ზევიდან ქვევით მცირდება.

კარგად შემოსული რქა შემოდგომით ღია ყავისფერია მოწითალო იერით, მუხლები უფრო მუქადაა შეფერილი, ვიდრე მუხლთაშორისები. მუხლთაშორისების სიგრძე მერყეობს საშუალოდ 8 დან 12 სმ-მდე. გრძლივი ზოლები მუხლთაშორისების გასწვრივ კარგადაა გამოსახული.

შუა იარუსის (9-12) კარგად განვითარებული ფოთოლი საშუალო სიდიდისაა. ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა, უფრო ხშირად იგი განიერ ოვალურია, ვიდრე მოგრძო. ფოთლის სიგრძე საშუალოდ 17-18 სმ, ხოლო განი 18-

19 სმ უდრის. ფოთოლი მუქი მწვანე ფერისაა, უფრო ხშირად იგი ხუთნაკვეთიანია, იშვიათად სამნაკვეთიანი ფოთლებიც გვხვდება. ფოთლის ზედაპირი ხშირად მსხვილბურთულეებიანი, იშვიათად იგი ბადისებურად დანაოჭებული, ან წვრილბურთულეებიანია. ფოთლის ზედა ნაკვეთი თითქმის მუდამ ბლაგვკუთხიანია. ფოთლის მოხრილობა უსწორმასწოროა, ხშირად ქვედა ნაკვეთების ზევით აწევის გამო ფოთოლი ძაბრისებურ ფორმას იღებს.

ზედა ამონაკვეთები უფრო ხშირად საშუალო სიღრმისაა, იშვიათად გვხვდება ძლიერ ღრმა და ზეზეური ამონაკვეთებიც. ამონაკვეთების ფორმა ბუნებრივ პირობებში ხშირად ჩანგისმაგვარია, იშვიათად იგი პარალელურ გვერდებიანია, გვხვდება აგრეთვე ოვალურთვლიანი დახურული ამონაკვეთებიც. ამონაკვეთების ფუძე ხშირად მომრგვალებული, იშვიათად იგი წამახვილებულია. ზოგჯერ ამონაკვეთების ფუძე ცალდეზიანია. ძლიერ იშვიათად გვხვდება აგრეთვე ზეზეური შეჭრილი კუთხისმაგვარი ფორმის ამონაკვეთებიც.

ქვედა ამონაკვეთები, როგორც წესი, ოდნავ ღრმაა. ამონაკვეთების ფორმა პარალელურგვერდებიანი ჩანგისმაგვარია, იშვიათად იგი შეჭრილი კუთხისმაგვარი, ან დახურული ოვალურთვლიანია. ამონაკვეთების ფუძე მომრგვალებული ან იშვიათად წამახვილებულია.

ყუნწის ამონაკვეთი უმრავლეს ფოთლებზე ღიაა, ფორმით იგი ჩანგისმაგვარია შევიწროებული ფუძით. ბუნებრივ პირობებში ფოთლის ქვედა ნაკვეთების ზევით აწევის გამო ყუნწის ამონაკვეთი დახურული გვეჩვენება. ნაკვეთების ბოლოების ერთი მეორეზე გადასვლის გამო, შუაში ოვალური ფორმის თვალი კეთდება. ძლიერ იშვიათად გვხვდება აგრეთვე ისრისებური და კვადრატული ფორმის ამონაკვეთებიც.

ფოთლის მთავარი ძარღვი უფრო ხშირად ბოლოვდება გამოწეულგვერდებიან სამკუთხედისებური ფორმის კბილებით, იშვიათად გვხვდება აგრეთვე მახვილწვერიანი სამკუთხედისებური ფორმისა და მასზე უფრო იშვიათად გუმბათისებური ფორმის კბილები. გვერდითი ძარღვები

ჩვეულებრივ ბოლოვდება ცალგვერდგამოწეული ან სამკუთხედისებური ფორმის კბილებით.

ფოთლის ქვედა მხარე შებუსულია საკმაოდ სქელი აბლაბუდისებური ბუსუსით, რომლის ქვეშ მოფენილია მოკლე ჯაგრისებური ბუსუსი, ხოლო ორივე ერთად საკმაო სქელ ქეჩისებურ შებუსულობას ქმნის. ფოთლის ყუნწი უდრის ფოთლის შუა მარჯვის სიგრძეს, ან ოდნავ მასზე მოკლეა. ყუნწი შეფერილია მოწითალო ღვინისფრად და ოდნავ შებუსულია.

ნორმალური აგებულების ყვავილი ორსქესიანია. ყვავილში 5 ან 6 მტვრიანაა, იშვიათად გვხვდება 4 და 7 მტვრიანაც, მტვრიანათა ძაფების სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან მერყეობს 1,25 დან 1,5 მდე, უფრო ხშირად იგი 1,25 უდრის. ბუტკო სწორი კონუსისებური ფორმისაა, კარგად გამოსახული სვეტით და მომრგვალო დინგით.

მტევანი საშუალო სიდიდისაა, მისი სიგრძე მერყეობს საშუალოდ 12-დან 16 სმ-მდე, ხოლო განი 8-დან 10 სმ-მდე. მტევანი განიერ კონუსისებური ფორმისაა, ხშირად მხრიანია, მხრის სიგრძე აღწევს მტევნის სიგრძის ერთ მესამედს, ზოგჯერ ნახევარსაც. მტევანი მკვრივია, იშვიათად საშუალო სიმკვრივის. მტევნის ყუნწი ბალახისებურია, ყურძნის სრული სიმწიფის პერიოდისათვის იგი ხევდება და რქის ფერს იღებს. მისი სიგრძე მერყეობს 2-დან 5 სმ-მდე, საშუალოდ იგი 2,5-3 სმ უდრის.

მარცვლის ყუნწი მწვანე ფერისაა, მისი სიგრძე 6-8 მმ უდრის. მარცვლის ბალიში ვიწრო კონუსისებური ფორმისაა და დაფარულია მუქი ყავისფერი ხორკლებით. მარცვალი მჭიდროდ არის მიმაგრებული ყუნწზე და ადვილად არ წყდება მას.

მარცვალი საშუალოზე უფრო მსხვილია, მისი სიგრძე საშუალოდ 1,7-1,8 სმ, ხოლო განი 1,5-1,6 სმ უდრის. მსხვილი მარცვლების სიგრძე 2,0-2,1 სმ, ხოლო განი 1,8-1,9 სმ აღწევს. მარცვლის ფორმა ოვალურია, იშვიათად მომრგვალო ფორმის მარცვლებიც გვხვდება.

მარცვალ ჟუაში განიერია, ხოლო ბოლო მომრგვალებული აქვს. მარცვალ მომწვანო-ყვითელია, ხოლო სრულ სიმწიფეში და გადამწიფებისას იგი ლამაზ მოქარვისფრო ყვითელ იერს იღებს. მარცვალ დაფარულია საკმაოდ სქელი ცვილისებური ფიფქით, ხოლო მზისაკენ მიქცეულ მხარეზე მას უჩნდება სიდამწვრის მოყავისფრო ლაქები. მარცვლის კანი თხელი, მაგრამ საკმაოდ მკვრივია, იგი ადვილად არ ეცლება რბილობს. რბილობი მკვრივია, კნატუნა, წვენი უფერულია და მეტად ტკბილი. ჯიშური არომატი მარცვალში მკრთალადაა გამოსახული.

წიპწების რაოდენობა მარცვალში 1-დან 4-მდე მერყეობს. საშუალოდ ერთ მარცვალზე მოდის 2,6 წიპწა. წიპწის ოვალური ფორმისაა ნისკარტისაკენ შევიწროებული, იგი შეფერილია მუქ ყავისფრად. ხოლო ნისკარტი და მუცლის ღარები მონარინჯისფრო ყვითელია. წიპწის სიგრძე მერყეობს 6,5-დან 7,5 მმ-მდე, ხოლო განი 4 დან 4,5 მმ-მდე.

სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობა - თბილჰავიან ზონებში ჯიშის სავეგეტაციო პერიოდი მოკლდება, ხოლო გრილჰავიან ზონებში ჯიში აგრძელებს სავეგეტაციო პერიოდს, რათა მეტი სითბო დააგროვოს ყურძნის დასამწიფებლად.

ყველაზე გვიან კრახუნა სამხრეთ უკრაინაში მწიფდება, შემდეგ კახეთში და ყველაზე ადრე შუა იმერეთში. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობის შესაბამისად იცვლება აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც. სავეგეტაციო პერიოდის გახანგრძლივება ხდება, როგორც პირველი ფაზის კვირტის გაშლის დასაწყისის, ისე სრული სიმწიფის ვადის ცვალებადობით. ასე მაგალითად იმერეთში კრახუნა 26 სექტემბერს მწიფდება, კახეთში იგი სრულად მწიფდება 12 ოქტომბერს.

სიმწიფის დასაწყისის და სრული სიმწიფის დადგომის ვადის მიხედვით, კრახუნა სიმწიფის III პერიოდის ვაზის ჯიშებს უნდა მიეკუთვნოს, იგი იმერეთის ძირითად საწარმოო ვაზის ჯიშებზე (ციცქა, ცოლიკოური) ერთი პერიოდით უფრო ადრე მწიფდება.

კრახუნა შედარებით ადრე იწყებს პირველ და სრულ მოსავლის მოცემას. მისი ნამყენები დარგვიდან მეორე წელს იძლევა პირველ ნიშანს, ხოლო მესამე-მეოთხე წლიდან სრულ მოსავალს. კრახუნა საშუალოზე მაღალი მოსავლიანობით ხასიათდება ცალკეულ წლებში, ჰავისა და მოვლა_დამუშავების ხელშემწყობ პირობებში, იგი იძლევა უხვ მოსავალს.

საქარის საცდელ სადგურზე წარმოებული აღრიცხვებით კრახუნას მოსავლიანობა ცალკეული წლების და მიკროზონების მიხედვით მერყეობს საშუალოდ 80-100 ცენტნერამდე ჰექტარზე. შედარებით უფრო უხვ მოსავალს კრახუნა ზესტაფონის რაიონში იძლევა, ძირითადად ალუვიურ ქვეთიხნარ ნიადაგებზე.

მოსავლიანობასთან ერთად პროდუქციის ხარისხიც მაღალია. ტკბილის შაქრიანობა საშუალოდ 23% შეადგენს, ხოლო უმცირესი 20,8% ნაკლები არ ყოფილა. შედარებით უფრო ნაკლებ მოსავალს თანაბარ კვების არეზე (1,5X1,5 მ) კრახუნა ეწერ ნიადაგებზე იძლევა.

მტევნების გარეგნული შეხედულებით, ხოლო უფრო მეტად მარცვლის მექანიკური შედგენილობით და წვენის ქიმიური შეცულობით კრახუნა საღვინე ვაზის ჯიშებს მიეკუთვნება. ნაწილობრივ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს და იყენებენ კიდევ, როგორც სასუფრე (საჭმელ) ყურძენს. მართლაც, იმერულ საწარმოო ვაზის ჯიშებს შორის (ციცქა, ცოლიკოური, დონდლაბი, ოცხანური საფერე და სხვ.) კრახუნა როგორც სასუფრე (სადესერტო) ყურძენი ყველაზე უმჯობესია გარეგნული შეხედულებითა და თავისებური გემოთი.

ყურძნის წვენის გამოსავალი ლაბორატორიულ პირობებში მერყეობს ცალკეულ წლებისა და ნაკვეთების მდებარეობის მიხედვით 74%-დან 85%-მდე.

წარმოების პირობებში ყურძნის წვენის გამოსავლიანობა საგრძნობლად ნაკლებია და იგი ვ. დემეტრაძის მონაცემების მიხედვით ხელის წნეხში გამოწურვისას შეადგენს: ჭაჭა კლერტით 26%, ხოლო წვენი 71%.

რთველის ერთნაირ პირობებში იმერულ ვაზის ჯიშებს შორის კრახუნა შაქარს ყველაზე მეტი რაოდენობით აგროვებს. მისი შაქრიანობა ნაკვეთების ადგილმდებარეობისა და ცალკეული წლების მეტეოროლოგიური პირობების მიხედვით 28-30%-მდე აღწევს.

კრახუნას ყურძენს ძირითადად იყენებენ იმერული და ევროპული ტიპის სუფრის ღვინის დასაყენებლად, ცდების სახით მისგან მზადდება აგრეთვე მადერისა და პორტვეინის ტიპის ღვინოებიც.

ზემო იმერეთში კრახუნა უკეთეს მასალას იძლევა ევროპული ტიპის ღვინისათვის, ვიდრე ამ კატეგორიის იმერული ღვინისათვის. დასავლეთ საქართველოს დანარჩენ რეგიონებში: გურია, სამეგრელო, აჭარა, აფხაზეთში და რაჭა-ლეჩხუმი, კრახუნა ძლიერ მცირედაა გავრცელებული, რადგან ადვილად ზიანდება სოკოვანი დაავადებებით (ჭრაქი), თუმცა აფხაზეთის ზოგიერთ რაიონში (გუდაუთა) და ნაწილობრივ სამეგრელოში (მთიანი ზოლი) კრახუნა მეტად საინტერესო სრულ, სხეულიან სუფრის ოდნავ მოტკბო სასიამოვნო ღვინოს იძლევა. ამ ზონებში კრახუნასაგან თავისუფლად შეიძლება დამზადდეს მაღალი ღირსების ბუნებრივად ნახევრადტკბილი ღვინო, თუ რთველი ოდნავ დაგვიანებით ჩატარდება.

კრახუნა მაღალხარისხოვან სუფრის ღვინოს იძლევა. ევროპული წესით დაყენებული კრახუნას ღვინო მოყვითალო-ჩალისფერია, ხასიათდება სისრულით, ენერგიით და სასიამოვნო გემოთი. იმერული წესით დაყენებული ღვინო უფრო მუქად არის შეფერილი, იგი მოქარვისფრო-ყვითელია, ხასიათდება თავისებური ჯიშური არომატით, ენერგიით, დიდი სხეულით და ოდნავი უხეშობით ახალგაზრდობაში.

ხანგრძლივი შენახვისას კრახუნა ინვითარებს ძლიერ ბუკეტს, ნაზ გემოს და იგი უფრო ჰარმონიული ხდება. ახალგაზრდობაში ოდნავი სიუხეშე, განსაკუთრებით გვიან დაკრეფილ ყურძნიდან დამზადებულ ღვინისა, მალე ქრება და ღვინო სასიამოვნო და ჰარმონიული ხდება.

კაპისტონი თეთრის დახასიათება

თეთრი კაპისტონი ადგილობრივი საღვინე ვაზის ჯიშია. გავრცელებულია ზემო იმერეთში, იძლევა ხარისხოვან ღვინომასალას ცქრიალა და სუფრის ღვინისათვის.

ადგილობრივ მევენახეთა შორის თეთრი კაპისტონის სინონიმები არ არის ცნობილი. ლიტერატურულ წყაროებში (ი. ბახტაძე, 5) ჯიში ცნობილია „კაპისტონას“ სახელწოდებით, ძირითადად, შორაპნის მაზრაში. უცხოურ ამპელოგრაფიულ ნაშრომებში (პიულა, გოეთე, ვიალა და ვერმორელი) თეთრი კაპისტონი მოკლედ აღწერილი და დახასიათებულია „კაპისტონი ბლან“ (თეთრი) და „ზეკროულა კაპისტონის“ სახელწოდებით. უკანასკნელი მოყვანილია, როგორც თეთრი კაპისტონის ვარიაცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაჭა-ლეჩხუმში გავრცელებული თეთრი კაპისტონი სულ სხვა ჯიშია და აღწერილი ჯიშისაგან საგრძნობლად განსხვავდება, პირველ რიგში, ყვავილის ტიპით - რაჭულ თეთრ კაპისტონს ფუნქციონალურად მდებდრობითი ტიპის ყვავილი აქვს.

თეთრი კაპისტონი გამოსულია კულტურულ ვაზის ჯიშების ფორმათა წარმოქმნის კოლხეთის კერიდან. მორფოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებებით იგი მეტად ახლოს დგას იმერული ვაზის სხვა ჯიშებთან და განსხვავდება მათგან ძირითადად ყურძნის უფრო ნაადრევი სიმწიფით. თავისი მორფოლოგიური ნიშან-თვისებებით თეთრი კაპისტონი ეკუთვნის *prol. Pontica Negr.* ჯგუფს.

ჯიშის წარმოშობის დროისა და ადგილის შესახებ მონაცემები შემონახული არ არის. აკად. ივ. ჯავახიშვილი რიგ მოსაზრებებზე დაყრდნობით, თეთრ კაპისტონს თვლის საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ჯიშად. მართლაც, შედარებით უფრო ძველ ლიტერატურულ წყაროებში თეთრი კაპისტონი გასული საუკუნის მეორე ნახევარში უკვე კარგად ცნობილ ჯიშად გვევლინება. ასე მაგალითად, თეთრი კაპისტონი დასახელებული და მოკლედ აღწერილი აქვთ ი. ბახტაძეს, ვ. სტაროსელსკის და პროფ. კ. მოდებაძეს, რომელთაც მოკლე დახასიათების გარდა აღნიშნული აქვთ ჯიშის გავრცელების არეალიც,

სახელდობრ შორაპნის ყოფილი მაზრის მთაგორიანი სოფლები და შემადლებული ადგილები.

მოზარდი ყლორტის (15-20 სმ) წვერი, გვირგვინი და პირველი ორი, ჯერ კიდევ გაუმლელი, ფოთოლაკი შებუსულია ორივე მხრიდან ქეჩისებური ბუსუსით და მორუხო თეთრია, მკვეთრი მოვარდისფრო არშიით გვირგვინისა და ფოთოლაკების ირგვლივ. მეორე იარუსის (მესამე, მეოთხე) ფოთლები კარგავს ზემო მხრიდან შებუსვას და იღებს მომწვანო-მოყვითალო ფერს მოვარდისფრო იერით. მესამე იარუსის (მეხუთე, მეექვსე) ფოთლები იღებს მოყვითალო მწვანე ფერს.

კარგად შემოსული ერთწლიანი რქები შემოდგომით მოყვითალო ყავისფერია მონაცრისფრო ზოლების გაყოლებით მუხლთშორისების გასწვრივ. მუხლები უფრო მუქია, ვიდრე მუხლთშორისები, რომელთა სიგრძე საშუალოდ 9-12 სმ შეადგენს.

კარგად განვითარებული შუა იარუსის ფოთლები საშუალო ზომისაა, მათი სიგრძე მერყეობს საშუალოდ 18-დან 20 სმ-მდე, ხოლო განი 16-დან 19 სმ-მდე. ფოთლის სიგრძე-სიგანე შეადგენს 19-18 სმ. ფოთოლი მომრგვალო, ან ოდნავ ოვალური ფორმისაა, ხშირად სამი, იშვიათად ხუთნაკვეთიანია. ზოგჯერ გვხვდება სრულიად დაუნაკვეთავი, ან ოდნავ დანაკვეთული ფოთლებიც. ფოთლის ზედაპირი ბადისებურად დანაოჭებულია, იშვიათად გვხვდება სწორიც. ფოთლის შუა ნაკვეთი ოდნავ წინწამოწეული და ხშირად მახვილკუთხიანია. ფოთოლი მუქი მწვანე ფერისაა, მისი ზედაპირი შედარებით სწორია.

ზედა ამონაკვეთების სიღრმე საგრძნობლად ცვალებადობს, ჩვეულებრივ იგი საშუალო სიღრმისა, ან იშვიათად მასზე უფრო ღრმაა. უფრო ხშირად ამონაკვეთები ღია ჩანგისმაგვარი ფორმისაა, ან თითქმის პარალელურგვერდებიანი ჩანგისმაგვარია. იშვიათად გვხვდება აგრეთვე დახურული კვერცხისმაგვარი თვლიანი ან ვიწრო ელიფსისებური თვლიანი ამონაკვეთებიც. ამონაკვეთების ფუძე მომრგვალოა, ზოგჯერ იგი

წამახვილებულია. იშვიათად გვხვდება აგრეთვე ჯიშისათვის დამახასიათებელი ცალკილიანი ამონაკვთებიც.

ქვედა ამონაკვთები ზედა ამონაკვთებთან შედარებით ნაკლებად განვითარებულია. უფრო ხშირად ამონაკვთები ზეზეურია, ფორმით შეჭრილი კუთხისებური, ან თითქმის პარალელურგვერდებიანი ჩანგისმაგვარია. ამონაკვთების ფუძე მომრგვალო ან ოდნავ წამახვილებულია. ხშირად ამონაკვთები სულ არ არის განვითარებული ან ოდნავ შესამჩნევია.

ყუნწის ამონაკვეთი ჩვეულებრივ ღიაა, იგი ღრმა და განიერია. უფრო ხშირად მისი ფორმა კვადრატული ან თაღისმაგვარია, მომრგვალო ან მახვილი ფუძით. გვხვდება აგრეთვე მრგვალი ან წამახვილებულფუძიანი ჩანგისმაგვარი ფორმის ამონაკვთებიც. ხშირად დეზიანი ყუნწის ამონაკვთებიც გვხვდება.

ყვავილი ორსქესიანია. ყვავილში ხუთი ან ექვსი მტვრიანაა. მტვრიანათა ძაფების სიგრძე ერთი მეოთხედით უფრო გრძელია ბუტკოს სიმაღლესთან შედარებით, იშვიათად ეს შეფარდება 1,5 და მეტსაც აღწევს. ბუტკო კონუსისებური ფორმისაა, კარგად განვითარებული სვეტით და მომრგვალო გაუყოფელი დინგით.

მტევნები საშუალო ზომისაა, მათი სიგრძე მერყეობს 14-დან 17 სმ-მდე, ხოლო განი 8-დან 10 სმ-მდე. საშუალო მტევნის ზომა 15X10 სმ შეადგენს. უფრო ხშირად მტევანი მხრიანი, კონუსისებური ფორმისაა, იშვიათად გვხვდება აგრეთვე ცილინდრულ-კონუსისებური ფორმის მტევნებიც. მტევნების აგებულება მკვრივია, იშვიათად გვხვდება საშუალოზე უფრო მკვრივი მტევნებიც. მტევნის ყუნწი ფუძესთან გახევებულია და რქის ფერისაა. იგი მოკლეა, მისი სიგრძე საშუალოდ 2,5-3,5 სმ უდრის. მარცვლის ყუნწი მწვანეა, მისი სიგრძე უდრის 6-7 მმ.

მარცვალი საშუალო სიმსხოსია, რომლის სიგრძე მერყეობს 1,7-1,9 სმ-მდე, ხოლო განი 1,6-დან 1,79 სმ-მდე. საშუალო მარცვლის ზომა შეადგენს 1,75X1,68 სმ. მარცვალი მომრგვალოა, იშვიათად ოდნავ ოვალურია. მარცვალი მომწვანო ყვითელია. მზის მხარეზე მოქარვისფრო ყვითელია, მარცვლის კანი თხელი და საკმაოდ მკვრივია, იგი დაფარულია თხელი ცვილისებური ფიფქით. რბილობი

ოდნავ მკვრივი და მდნარია, წვენი უფერული, გემო ტკბილი სასიამოვნო. ჯიშური არომატი სუსტად არის გამოსახული.

წიპწების რაოდენობა მარცვალში მერყეობს ერთიდან ოთხამდე. საშუალოდ ერთ მარცვალზე ორი წიპწა მოდის. წიპწა წვრილია, მისი სიგრძე 6-8 მმ, ხოლო განი 3,0-3,5 მმ აღწევს. წიპწის ტანი მუქი ყავისფერია, ნისკარტისაკენ კი მოყვითალოა.

კვირტის გაშლა იმერეთის პირობებში (საქარის საცდელი სადგური) იწყება აპრილის პირველ ნახევარში, ხოლო ყურძენი სრულ სიმწიფეს აღწევს სექტემბრის ბოლო რიცხვებში. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობა საშუალოდ 169 დღეს უდრის, ხოლო აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ამ პერიოდში 3360⁰ უდრის, უკრაინაში (ქ.ოდესა) სავეგეტაციო პერიოდი 166 დღემდე გრძელდება და აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3280⁰ აღწევს.

იმერეთის საწარმოო ვაზის ჯიშებს შორის თეთრი კაპისტონი საადრეოა, მისი ყურძენი 12-15 დღით უფრო ადრე მწიფდება და ამ მხრივ იგი მეტად საინტერესოა ზემო იმერეთის-საჩხერის, ჭიათურისა და ხარაგაულის რაიონის შემადგენელ ადგილებისათვის, რადგან აქ იმერეთის ძირითადი საწარმოო ვაზის ჯიშები-ციცქა და ცოლიკოური ყოველწლიურად სრულ სიმწიფეს ვერ ასწრებს. კახეთის პირობებში თეთრი კაპისტონი რქაწითელთან ერთად ან მასზე ცოტა უფრო გვიან მწიფდება და კარგი მოსავლიანობითაც ხასიათდება. ფრანგ ამპელოგრაფ პიულას ცნობით თეთრი კაპისტონი კარგად მწიფდება საფრანგეთის ცენტრალურ რაიონებში, სადაც მისი შექრიანობა თბილ ჰავიან წლებში 23⁰ აღწევს.

ადგილობრივ მევენახეთა შეფასებით თეთრი კაპისტონი საშუალო მოსავლიანი ვაზის ჯიშია. პროფ. თ. კვარაცხელიას შეფასებით თეთრი კაპისტონის მოსავალი მერყეობს 1,5-დან 2,0 კგ-მდე ძირზე, რაც ჰექტარზე გადაანგარიშებით ძველ ნარგავებში შეადგენს საშუალოდ 60-80 ცენტნერს. შედარებით უფრო მაღალი მოსავლიანობით ხასიათდება თეთრი კაპისტონი ნემომპალა-კარბონატული ტიპის ნიადაგებზე.

თეთრი კაპისტონი მოსავლიანობის კარგი მაჩვენებლებით ხასიათდება, მისი მსხმოიარობის როგორც მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს მოსავალი

საშუალოდ 60-70 ცენტნერს შეადგენს ჰექტარზე. პროფ. კ. მოდებაძეს, შორაპნის ყოფილი მაზრის ღვინოების ხარისხის მიმოხილვის დროს, აღნიშნული აქვს, რომ თეთრი კაპისტონი ხასიათდება მრავალი დადებითი თვისებით და ადგილობრივ მევენახეთა შორის დამსახურებულად აქვს სახელი მოხვეჭილი. ცხადია, ასეთი სახელის მოხვეჭა, პირველ რიგში, ღვინის ღირსება-ხარისხით, მოსავლიანობითა და გარემო პირობებთან კარგი შეგუებით უნდა აიხსნას.

თეთრი კაპისტონი უდავოდ საღვინე ვაზის ჯიშია. ყურძნის გარეგნული შეხედულება, მტევნის მექანიკური შედგენილობის მაჩვენებლები, მარცვლის გემო და წვენის ქიმიური შემცველობა წინასწარ აპირობებს ყურძნის საღვინედ გადამუშავების მიზანშეწონილებას. მართლაც, თეთრი კაპისტონიდან დგება მაღალი ღირსების ღვინომასალა ცქრიალა და სუფრის ხარისხოვანი ღვინისათვის.

თეთრი კაპისტონის ყურძენი წვენის საკმაოდ დიდი გამოსავლიანობით ხასიათდება. წარმოების პირობებში წვენის გამოსავლიანობა შედარებით უფრო ნაკლებია, ხოლო ნახევრად წარმოების პირობებში იგი შეადგენს ცქრიალა ღვინისათვის გადამუშავებისას 75%, ხოლო სუფრის ღვინისათვის გადამუშავებისას 76%. თეთრი კაპისტონი საკმაოდ დიდი რაოდენობით აგროვებს შაქარს, განსაკუთრებით შუა იმერეთის სოფლებში ნეშომპალა-კარბონატული ტიპის ნიადაგებზე.

რიგი ავტორიტეტული სპეციალისტებისა თეთრი კაპისტონის სუფრის ღვინოს მაღალ შეფასებას აძლევს, პროფ. კ. მოდებაძე თეთრ კაპისტონს თვლის მრავალი დადებითი თვისებებით შემკულ ჯიშად, რომელმაც საპატიო სახელი დაიმსახურა ადგილობრივ მევენახეთა შორის; ვ. სტაროსელსკის იგი კარგი ღირსების სუფრის ღვინის ჯიშად მიაჩნია; ვ. დემეტრაძე ახასიათებს კაპისტონის ღვინოს, როგორც კარგი ღირსების მასალას ცქრიალა ღვინისთვის.

საინტერესო ცნობა თეთრი კაპისტონის შესახებ მოეპოვება აგრეთვე ფრანგ ამპელოგრაფ პიულიას (Pulliat) უკანასკნელს ჯერ კიდევ 1868 წელს მიუღია ქ. ქუთაისიდან აჯამეთის სასოფლო-სამეურნეო სკოლის დირექტორის ბარონ ლონგეილისაგან დასავლეთ საქართველოს 25 ვაზის ჯიში და მათ რიცხვში თეთრი

კაპისტონის რქებიც. საფრანგეთის ცენტრალურ ნაწილში თეთრი კაპისტონი მთელი ათი წლის მანძილზე ხასიათდებოდა კარგი ზრდით და ყოველწლიური უხვი და ხარისხოვანი მოსავლით. ზოგიერთ წლებში მისი შაქრიანობა 23% აღწევდა. თავისი დაკვირვებათა საფუძველზე ამპელოგრაფი პიულია თეთრი კაპისტონის შესახებ წერს: ყურძნის მაღალი ხარისხი და მისი ადვილი მწიფობა საფრანგეთის ცენტრალურ ნაწილში, იმის ღირსია, რომ ამ ჯიშს მიექცეს ჩვენი მევენახეების ჯეროვანი ყურადღება.

ჩვენში წარმოებულ დაკვირვებით თეთრი კაპისტონის ღვინო ბუნებრივი ცერიალისადმი ძლიერი მიდრეკილებით ხასიათდება. პირველი მითითება ამის შესახებ მოეპოვება ი. ბახტაძეს, მას თავის ნაშრომში აღნიშნული აქვს შემდეგი: ამ ვენახებიდან მიღებული ღვინო (საუბარია შორაპნის მაზრის დაბლარ ვენახებზე) ითვლება საუკეთესოდ. მათ მიეკუთვნება, ვაჭრობაში განსაკუთრებით დაფასებული სვირის, შროშისა და ხარაგოულის ღვინოები და ამ უკანასკნელთაგან განთქმული ცოლიკოური, იმერეთში ყველა სხვა ჯიშებზე უფრო დაფასებული. ამ ღვინოს იღებენ კაპისტონად-წოდებულ ყურძნიდან, რომელიც ხასიათდება ფრანგული საუკეთესო შუმხუნა ღვინოების ყველა თვისებით. ამასთან იგი მზადდება მეტად განსაზღვრული რაოდენობით და ხარაგოულის გარეთ თითქმის არსად გვხვდება. ბაზალეთური ცოლიკოურიც ითვლება საუკეთესოდ.

ცხადია, ი. ბახტაძე უნდა გულისხმობდეს კაპისტონიდან მიღებულ ღვინოს, რადგან მისივე მითითებით იგი დგება კაპისტონად წოდებულ ყურძნიდან სოფ. ხარაგოულში, საუკეთესო ცოლიკოურის ღვინოდ კი ბაზალეთისა ითვლება.

თეთრი კაპისტონის ღვინო საკმაოდ მდიდარი ქიმიური შედგენილობით ხასიათდება. აღსანიშნავია მაღალ ალკოჰოლიანობასთან ერთად შედარებით მაღალი მჟავიანობა და საკმაოდ დიდი სხეული (ექსტრაქტი).

მაღალი ღირსების სუფრის ღვინოს იძლევა თეთრი კაპისტონი აგრეთვე ევროპული და იმერული წესით დაყენებისას. მისი ღვინო სიძველეში ძლიერ ბუკეტთან ერთად, საკმაოდ სხეულით, სინაზით და სასიამოვნო სიხალისით

ხასიათდება. განსაკუთრებით კარგია ბაზალეთის, ღარისხევის, თეთრაწყაროს, ფარცხნალის, ხარაგოულის, ისლარისა და სხვ. სოფლების თეთრი კაპისტონის ღვინო. ამ თვისებების გამო ჯიშმა პროფ. კ. მოდებაძის გადმოცემით საპატიო სახელი დაიმსახურა ადგილობრივ მევენახეთა შორის.

თეთრი კაპისტონის ყურძენს, მისი ნაადრევი სიმწიფის გამო, მოსახლეობა ნაწილობრივ იყენებს საჭმელად. აგრეთვე მისგან საცდელად დამზადებულ უალკოჰოლო ყურძნის წვენის ნიმუშები კარგი ღირსებით ხასიათდება. მაღალ შაქრიანობასთან ერთად ყურძნის წვენი შეიცავს მაღალ მჟავიანობას, რაც მას აძლევს მეტ სიხალისეს და უფრო სასიამოვნოს ხდის სასმელად.

3. ექსპერიმენტული ნაწილი

3.1. კვლევის აქტუალობა

მევენახეობა-მელვინეობა ყოველთვის იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი და მნიშვნელოვანი დარგი. ვაზის კულტურის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული ქართველი ერის ისტორიასთან. ჩვენი ერის შემოქმედებითი ბუნება და განსაკუთრებული სიყვარული ვაზისა და ღვინისადმი გამოიხატა ქართულ კულტურაში, წეს-ჩვეულებებში, არქიტექტურაში, ორნამენტში, ქედურობაში, მხატვრობაში, პოეზიაში, სიმღერასა და ხელოვნების სხვა დარგებში.

საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ღვინის ექსპორტს წარსულში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ეს ფაქტი საქართველოს ძველმა მეზობელმა და მეტოქე სახელმწიფოებმაც იცოდნენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ თემურ-ლენგი XIV საუკუნის დამლევს, ხოლო შაჰ-აბასი XVII საუკუნის დამდეგს, ქვეყნის ეკონომიკურად დასუსტების მიზნით თავიანთ ლაშქარს საქართველოში ვენახის გაკაფვა-ამოძირკვის ბრძანებას აძლევდნენ. სწორედ ქართველი კაცის გონივრული და დაუზარელი შრომის შედეგია ამ მცირე ტერიტორიაზე მრავალფეროვანი ადგილობრივი ჯიშების შექმნა, რომლებიც ძირითადად ლოკალიზებულია ცალკეულ ენდემურ, იზოლირებულ ისტორიულ-გეოგრაფიულ ჯგუფებში. ათასწლეულების მანძილზე მევენახეობა და მელვინეობა საქართველოს კულტურული მიწათმოქმედების წამყვან დარგად, ერის მატერიალური და სულიერი ცხოვრების წყაროდ ითვლებოდა.

ისტორიის მანძილზე ჩატარებული კვლევებისა და დაკვირვების შედეგად ჩამოყალიბდა ღვინის წარმოების ზონები (ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი, სადაც ხელსაყრელი აგროეკოლოგიური პირობებია ვაზის კულტურის გასაშენებლად) და ქვეზონები (ადგილი სადაც მოწეული ყურძნის და მისი გადამამუშავების შედეგად მიღებული პროდუქტების განსაკუთრებული ხარისხი, რეპუტაცია ან/და სხვა მახასიათებლები მთლიანად ან ძირითადად განპირობებულია ამ ადგილის ბუნებრივი ფაქტორებით და ვაზის ჯიშის მხოლოდ ამ აგროეკოლოგიურ პირობებში გამომჟღავნებული განსაკუთრებული ღირსებით).

ვაზი საქართველოში ჯიშთა სიმრავლით გამოირჩევა, უკანასკნელი აღწერებით საქართველოში 525 ავტოქტონური ვაზის ჯიშია დაფიქსირებული. საქართველოს

გეოგრაფიულმა, კლიმატურმა და ნიაგაგების მრავალფეროვნებამ განაპირობა უნიკალურ ჯიშთა სიმრავლე და არსებული მდიდარი გენოფონდიდან სხვადასხვა რეგიონისადმი დამახასიათებელი და ადგილობრივ პირობებთან კარგად მორგებული კულტურული ვაზის ასორტიმენტის ჩამოყალიბება. ასე შეიქმნა კახეთის, ქართლის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის, აფხაზეთის, სამეგრელოს, მესხეთის, გურიისა და აჭარის ვაზის უნიკალური საღვინე და სასუფრე ვაზის ჯიშები.

ისტორიის მანძილზე ბევრი მეცნიერი დაინტერესებულა ქართული ვაზის ჯიშებით: ი.წინამძღვრიშვილის, პ.იოსელიანის, ე.ნაკაშიძის, ე.დანდუროვის, პ.კანდურალოვის, პ.ავერკინის, ს.ქვარიანის, ს.ჩოლოყაშვილის, პ.ყიფიანის, ი.ანდრონიკაშვილის და სხვათა ნაშრომებმა მოიცვა სრულიად საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ყველა კუთხე. ამპელოგრაფიულ კვლევებში დიდია ივ. ჯავახიშვილის ღვაწლი, რომელმაც ლინგვისტური კვლევის საფუძველზე წარმოადგინა საქართველოში გავრცელებული ვაზის ადგილობრივი ჯიშების წარმოშობა, გავრცელების არეალი და ძირითადი მაჩვენებლები.

ვაზის ჯიშების შესწავლისა და იდენტიფიცირებისთვის აუცილებელია ჩატარდეს მათი სრული ამპელოგრაფიული აღწერები. ასე მაგალითად ფოთლის ბოტანიკური ნიშნები ამპელოგრაფიული თვალსაზრისით (Viala P., Vermoreli V., 1905; Лазаревский М. А., 1936; Негруль А. М., 1946; ქანთარია ვ.რამიშვილი მ., 1951; ცერცვაძე ნ., 1986; 1989 და სხვ.) ძალზედ მნიშვნელოვანია. კულტურული ვაზის კლასიფიკაციის თეორიის ერთ-ერთ ძირითად განმსაზღვრელ ნიშანს ფოთლის შებუსვა წარმოადგენს. იგი მდგრადი ხარისხობრივი ნიშანია და ტაქსონომიური დატვირთვა პირველად კოლენატმა (Kolenati Fr. A., 1848) შეისწავლა.

თანამედროვე მეთოდებით ჩატარებული ამპელოგრაფიული აღწერები, ასევე ხელს უწყობს ვაზის ჯიშების დარაიონებას და ზონებად დაყოფას, რაც ხელს უწყობს მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებას.

ვაზის ქართული ჯიშების მეტი წილი შესწავლილი XIX-XX საუკუნეში ამპელოგრაფიული, ბიოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებების მიხედვით (Церцвадзе 1987; რამიშვილი, 1986; Ампелография СССР, 1946-1970; კეცხოველი და სხვ. 1960; ტაბიძე, 1954; რამიშვილი 1948; ჩოლოყაშვილი, 1939; მიროტაძე, 1939; Старосельский 1892; Коленати 1846), თუმცა დღესდღეისობით სამუშაო არ შეიძლება მიჩნეული იქნეს დასრულებულად, რადგან ამ კვლევების ჩატარების შემდეგ კიდევ

უფრო მეტად განვითარდა კვლევის მეთოდოლოგია და თანამედროვე კვლევებით კიდევ უფრო მეტი ინფორმაციის მიღება შესაძლებელი.

ვაზის ჯიშთა შესწავლამ არ უნდა დაკარგოს აქტუალურობა და მონაცემების განახლება უნდა ხდებოდეს სისტემატიურად, რათა შევინარჩუნოთ ეს დიდი ისტორია და თანამედროვე აღწერის მექანიზმებით კიდევ უფრო გავამრავალფეროვნოთ ის დიდი მონაცემთა ბაზა, რაც ქართველმა და არა მარტო ქართველმა მეცნიერებმა ჩვენამდე მოიტანეს.

ნაშრომში წარმოდგენილია იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშების, ციცქას, ცოლიკოურის, კრახუნას და კაპისტონი თეთრის თანამედროვე OIV დესკრიპტორების მიხედვით აღწერის შედეგები.

3.2. კვლევის მიზანი და ამოცანები

3.2.1. მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენს იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშების, ციცქას, ცოლიკოურის, კრახუნას და კაპისტონი თეთრის, ბოტანიკური, ბიოლოგიური და სამეურნეო ნიშან-თვისებების თანამედროვე მეთოდოლოგიით შესწავლა. მონაცემთა განახლების მიზნით ახალი ექსპერიმენტული მასალების მოპოვება, ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) მიერ შემუშავებული დესკრიპტორების მიხედვით ჯიშების შეფასება და აღწერა.

3.2.2. ამოცანები

აღნიშნული მიზნის შესრულება ითვალისწინებს:

- ბოტანიკური ნიშნების შესწავლას
- ზრდის ღონის შესწავლას
- ყურძნის წვენი ქიმიური შედგენილობის შესწავლას
- მოპოვებული ექსპერიმენტული მასალების შეჯერებას და ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) მოთხოვნათა შესაბამისად ჯიშის დახასიათებას.

3.3. კვლევის ობიექტი

კვლევის ობიექტს წარმოადგენს იმერეთის რეგიონში გავრცელებული თეთრყურმჩიანი ვაზის ჯიშები: ციცქა, ცოლიკოური, კრახუნა და კაპისტონი თეთრი. აღნიშნული ჯიშებიდან ცოლიკოური და ციცქა უფრო მეტად არის გავრცელებული, ვიდრე კრახუნა და კაპისტონი თეთრი, მაგრამ ეს ჯიშებიც საკმაოდ კარგ შედეგს იძლევიან მაღალხარისხიანი ღვინის მისაღებად.

3.4. კვლევის მეთოდика

ამპელოგრაფიული აღწერა მიმდინარეობდა 2018 წელს ღვინისა და ვაზის საერთაშორისო ორგანიზაცია OIV-ის დესკრიპტორების საშუალებით (2007).

მეთოდი მოიცავდა ვაზის სხვადასხვა ორგანოს აღწერას (ახალგაზრდა ყლორტი, ახალგაზრდა და ზრდასრული ფოთოლი, ყვავილი, მტევანი, მარცვალი).

Primary and secondary descriptors used in Genres-Projets (Genres081/GrapeGen06) and to use in COST Action GRAPENET FA1003
 selected from the 151 OIV descriptors published in June 2007¹
 Additional descriptors to use in COST Action GrapeNet FA1003 are at the end of the document

| OIV (Biodiversity) | Descriptor | Example varieties | Note |
|--------------------|--|---|-----------------------|
| 1 (6.1.1) | Young shoot: opening of the shoot tip closed half open fully open | <i>V. riparia</i> Kober 5 BB, SO 4 <i>Vitis vinifera, Vitis berlandieri</i> | 1 3 5 |
| 3 (6.1.2) | Young shoot: intensity of anthocyanin coloration on prostrate hairs of the shoot tip none or very low low medium high very high | Furmint B, Garganega B Riesling B Müller-Thurgau B, Barbera N Aleatico N, Cabernet-Sauvignon N <i>Vitis aestivalis</i> | 1 3 5 7 9 |
| 4 (6.1.3) | Young shoot: density of prostrate hairs on the shoot tip none or very low low medium high | Rupestris du Lot, 3309 Couderc Chasselas B, Garnacha tinta N Pinot N, Chardonnay B Gewürztraminer Rg, Furmint B, Trebbiano <i>Isocarya B, Harslevblue B</i> | 1 3 5 7 |

| Characteristic/Caractère/Carácter | Codes |
|--|----------------------------------|
| Young shoot: density of erect hairs on the shoot tip Jeune raméau: densité des poils dressés de l'extrémité Pámpano joven: densidad de los pelos erguidos de la extremidad | OIV-005 UPOV-5 IPGRI-6.1.4 |
| 1: None or very low Nulle ou très faible Nula o muy baja | 3: Low Faible Baja |
| 5: Medium Moyenne Media | 7: High Forte Alta |
| 9: Very high Très forte Muy alta | |

ვეგეტაციის პერიოდში ზემოთ აღნიშნულ 4 ჯიშზე შესწავლილ იქნა შემდეგი 46 ნიშანი:

1. OIV001 ახალგაზრდა ყლორტი: ზრდის კონუსის ფორმა.
2. OIV003 ახალგაზრდა ყლორტი: ზრდის კონუსის ანტოციანური შეფერვა.
3. OIV004 ახალგაზრდა ყლორტი: განრთხმული შებუსვის სიხშირე ზრდის კონუსზე
4. OIV006 ყლორტი: დგომა.
5. OIV007 ყლორტი: მუხლთშორისების შეფერვა ზურგის მხარეზე.
6. OIV008 ყლორტი: მუხლთშორისების შეფერვა მუცლის მხარეზე.
7. OIV016 ყლორტი: თანმიმდევრული პწკალების რაოდენობა.
8. OIV051 ახალგაზრდა ფოთოლი: ფოთლის ზედა მხარის შეფერილობა (მე-4 ფოთოლი).
9. OIV053 ახალგაზრდა ფოთოლი: განრთხმული შებუსვის სიხშირე ძარღვებს შორის.
10. OIV067 ზრდასრული ფოთოლი: ფირფიტის ფორმა.
11. OIV068 ზრდასრული ფოთოლი: ფირფიტის ნაკვეთების რაოდენობა.
12. OIV070 ზრდასრული ფოთოლი: მთავარი ძარღვების ანტოციანური შეფერილობა ფირფიტის ზედა მხარეზე.
13. OIV072 ზრდასრული ფოთოლი: ზედაპირის გოფრირება.
14. OIV074 ზრდასრული ფოთოლი: ვერტიკალური კვეთის პროფილი.
15. OIV 075 ზრდასრული ფოთოლი: ფირფიტის ზედა ნაწილზე ბურთულოვნება.
16. OIV076 ზრდასრული ფოთოლი: კიდეების კბილების ფორმა.
17. OIV079 ზრდასრული ფოთოლი: ყუნწის ამონაკვეთის ძირითადი ფორმა.
18. OIV080 ზრდასრული ფოთოლი: ყუნწის ამონაკვეთი.
19. OIV081-1 ზრდასრული ფოთოლი: დეზის არსებობა ყუნწის ამონაკვეთში.
20. OIV081-2 ზრდასრული ფოთოლი: ყუნწის ამონაკვეთის ძარღვით შემოსაზღვრულობა.
21. OIV083-2 ზრდასრული ფოთოლი: კბილები ფირფიტის კიდეების ამონაჭრებზე.
22. OIV084 ზრდასრული ფოთოლი: განრთხმული შებუსვის სიხშირე ძარღვებს შორის.
23. OIV087 ზრდასრული ფოთოლი: სწორმდგომი შებუსვის სიხშირე მთავარ ძარღვებზე.
24. OIV094 ზრდასრული ფოთოლი: ფირფიტის გვერდითი ამონაჭრების სიღრმე.
25. OIV 151 ყვავილედი: ყვავილის სქესი.

26. OIV155 ყლორტი: კვირტების ნაყოფიერება.
27. OIV202 მტევანი: სიგრძე.
28. OIV204 მტევანი: მტევნის სიკუმსე.
29. OIV206 მტევანი: პირველადი მტევნის ყუნწის სიგრძე.
30. OIV208 მტევანი: ფორმა.
31. OIV209 მტევანი: განშტოებების რაოდენობა პირველად მტევანზე.
32. OIV220 მარცვალი: სიგრძე.
33. OIV221 მარცვალი: სიგანე.
34. OIV223 მარცვალი: ფორმა.
35. OIV225 მარცვალი: კანის შეფერილობა.
36. OIV231 მარცვალი: რბილობის ანტოციანური შეფერილობა.
37. OIV235 მარცვალი: რბილობის სიმკვრივე.
38. OIV236 მარცვალი: დამახასიათებელი გემო.
39. OIV241 მარცვალი: წიპწების ფორმირება.
40. OIV351 რქის ზრდის სიძლიერე.
41. OIV502 მტევანი: მტევნის მასა.
42. OIV503 მარცვალი: მარცვლის მასა.
43. OIV505 წვენში შაქრის შემცველობა.
44. OIV506 წვენის საერთო მჟავიანობა.
45. OIV508. წვენის pH.
46. ბიოტური სტრესებისადმი მგრძობელობა: ჭრაქი, ნაცარის მიმართ გამძლეობა.

3.5. კვლევის ჩატარების ადგილი

ციცქა, ცოლიკოური, კრახუნა და კაპისტონი თეთრი შესწავლილი იქნა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მრავალწლოვანი კულტურების კვლევისა და სარგავი მასალის წარმოების დეპარტამენტის სოფელ ჯიდაურას საკოლექციო ნარგაობაში.

საკოლექციო ნარგაობა გაშენებულია 54 ჰექტარ ფართობზე, სადაც თავმოყრილია 450-მდე ქართული აბორიგენული ვაზის ჯიში.

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სოფელ ჯიდაურას საკვლევ ბაზაზე წარმოდგენილია:

- ქართული ვაზის 437 ჯიში საკოლექციო ნარგაობა.
- უცხოური ვაზის 350 ჯიში.
- ვაზის კულტურული და ფილოქსერაგამძლე ჯიშების და კლონების საბაზისო სადედეები.
- 300-ზე მეტი თესლოვანი, კურკოვანი, კაკლოვანი და კენკროვანი კულტურების სადედეები.
- სატყეო და ქარსაცავ ჯიშთა გამოცდისა და სადემონსტრაციო ნაკვეთი.
- 80-მდე სახეობის ტყის მცენარეების ცოცხალი კოლექციები.
- სატყეო კულტურებისა და ქარსაცავ ზოლებში გამოსაყენებელ მცენარეთა გამოცდისა და სადემონსტრაციო ნაკვეთი.
- 11 ჯიშისა და 30-ზე მეტი თუთის ფორმის კოლექცია.
- "გოჯი ბერი"-ს (ჩინეთი) 5 სხვადასხვა ჯიშის 1000-მდე საბაზისო ნერგის სადემონსტრაციო ნაკვეთი.
- სამყნობ-სასტრატიფიკაციო და სამაცივრე კომპლექსი.
- მცენარეთა ფუმიგაციის და თერმული დამუშავების კომპლექსი.
- ვირუსოლოგიის ლაბორატორია.
- სათბურ-ორანჟერიები.

მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევის სამსახურის ფუნქციები:

- ქართული ვაზის გენოფონდის (ჯიშები და ველური ვაზის ფორმები) დაცვა, საკოლექციო შესწავლა ამპელოგრაფიისა და მიკრომელვინეობის სიმბიოზით და გამორჩეული ფორმების პოპულარიზაცია გამოფენების, პრეზენტაციების, სამეცნიერო და პოპულარული პუბლიკაციების ფორმატში.
- უცხოური ჯიშებისა და საძირების ინტროდუქცია და დაცვა საქართველოს მდგრადი მევენახობა-მელვინეობის უზრუნველყოფის მიზნით და მათ შორის – სელექციურ პროგრამებში გამოყენებისათვის.
- ვაზის ქართული და უცხოური გენოფონდის მაქსიმალური ჩართვა მევენახეობა-მელვინეობის ახალ რეალობაში კლიმატის ცვლილებების, ღვინის ახალი ტიპების, ტრადიციული და ინოვაციური ტექნოლოგიების დამკვიდრების პირობებში.
- მოლეკულური გენეტიკის, ქსოვილის კულტურის, ნიადაგურ-კლიმატური პირობების, მიკრობიოლოგიის, ბიოქიმიის, ფიზიოლოგიური და სხვა სამეცნიერო კვლევების მაქსიმალური გაშლა ვაზისა და ღვინის კვლევებში საქართველოში და მათი საშუალებით მსოფლიო დონის სიახლეების დამკვიდრება.
- ენოლოგიური, მიკრობიოლოგიური და ამპელოგრაფიული კვლევების ორგანიზება მელვინეობის ტრადიციული ტექნოლოგიების დაცვისა და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ღვინოების ახალი მარკების შექმნისათვის.
- მევენახეობის სპეციფიკური მიკროზონების შესწავლა, მათი საზღვრების ცვლილებისა და ახალი ზონების დარეგისტრირებისათვის ქართული ღვინის ასორტიმენტის გაფართოებისა და მევენახეთა შემოსავლების გაზრდის მიზნით.
- საქართველოს მევენახეთა და მელვინეთა ხელშეწყობა სამეცნიერო სიახლეების ოპერატიულად მიწოდების გზით.

- ჯანსაღი სამყაროები და სარგავი მასალების ქვეყნის შიგნით წარმოების ინტენსიური ტექნოლოგიების შემუშავება, საბაზისო და სერტიფიცირებული ნერგის წარმოების ხელშეწყობა.
- ღვინის ორგანოლექტიკური და სამეურნეო ტექნოლოგიური მახასიათებლების კვლევა.
- მეღვინეობა-მევენახეობაში ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება და პოპულარიზაცია.

მიკროზონისთვის დამახასიათებელი კლიმატი მშრალი სუბტროპიულიდან ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულზე გარდამავალია, ზომიერად ცივი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით. მზის ნათების ხანგრძლივობა მაღალია და 2100 საათს აღემატება, აქედან 70%-ზე მეტი (1550 სთ) სავეგეტაციო პერიოდზე მოდის. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 12,4⁰-ია.

ზამთარი თბილი და უმეტესად უთოვლოა. ყველაზე ცივი თვის (იანვარი) ტემპერატურა დადებითია და 0,6⁰-ს აღწევს. ჰაერის ტემპერატურის წლიური აბსოლუტური მინიმუმების საშუალო - 10⁰-ს არ აღემატება. 10 წელიწადში ერთხელ მინიმალური ტემპერატურა -15⁰-ზე დაბლა არ ეცემა, ამიტომ ვაზის სანაყოფე კვირტების ყინვებით მნიშვნელოვანი დაზიანება ძალზე იშვიათია.

წლის განმავლობაში ყველაზე თბილი თვეებია ივლისი და აგვისტო, რომელთა საშუალო ტემპერატურა 24,0-23,8⁰-ს უდრის, ზაფხული ცხელი და უნალექია. ტემპერატურის წლიური აბსოლუტური მაქსიმუმების საშუალო 37⁰-ია, აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა კი 40⁰-ს აღწევს.

მიკროზონაში ვაზის სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა 200 დღეს აღემატება, ამ პერიოდში 10⁰-ზე ზევით აქტიურ ტემპერატურათა ჯამი საშუალოდ კლიმატის კონტინენტურობის გამო ჰაერის ტემპერატურის დღეღამური ამპლიტუდა სავეგეტაციო პერიოდში 8-10⁰-ს, ხოლო სიმწიფის პერიოდში (აგვისტო-სექტემბერი) 9-10⁰-ს უტოლდება.

მთელი წლის განმავლობაში გაბატონებულია დასავლეთისა და ჩრდილო დასავლეთის ქარები (67%), რომელთაც შედარებით ნაკლები სიხშირით ენაცვლება საწინააღმდეგო მიმართულების - სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი (16%). სხვა მიმართულების ქარები იშვიათია და სუსტი. ქარის საშუალო წლიური 1,9მ/წმ-ს უდრის, ამიტომ ზონა მიეკუთვნება საშუალო ქარების ზემოქმედების ჯგუფს, სადაც ქარსაფარ ზოლებს შორის მანძილი 400 მ უნდა იყოს.

მიკროზონაში ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა 560 მმ-მდეა, საიდანაც 410 მმ სავეგეტაციო პერიოდში მოდის. ჰაერის საშუალო წლიური შეფარდებითი სინოტივე 60%-ია. ეს მაჩვენებელი ზაფხულის პერიოდში 56-57%-მდე ეცემა. სექციან დღეთა რიცხვი წელიწადში საშუალოდ 1,6-ს უდრის, სექცვა უფრო მეტად წლის თბილ პერიოდშია მოსალოდნელი, განსაკუთრებით მაისსა და ივნისში. ამრიგად, მიკროზონაში სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა და აქტიური სითბოს ჯამის რაოდენობა ხელსაყრელია სიმწიფის ყველა პერიოდის ჯიშების ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის.

საცდელ ნაკვეთებზე გავრცელებულია მდელოს ალუვიური ნიადაგები. მორფოლოგიური აღწერა, ერთ-ერთი ჭრილის მაგალითზე:

A – 0-25 სმ - მოყავისფრო, კომპოვან-მარცვლოვანი სტრუქტურით, ჩანართებიდან და ახალქმნილებიდან გვხვდება: ფესვები, ორგანული ანარჩენები, კენჭები, ფხვიერი აგებულებით, თიხიანი, სუსტად ტენიანი.

AB – 25-50 სმ - იგივე შეფერილობის, კომპოვან-მარცვლოვანი სტრუქტურით, ფესვები, ერთეული კენჭები, მოფხვიერო, თიხიანი, ტენიანი.

B1 – 50-70 სმ - იგივე შეფერილობის - ოდნავ ღია ელფერით, კომპოვან გორიხოვანი სტრუქტურით, კირის მიცელებით, მომკვრივო, თიხიანი, ტენიანი.

B2 – 70-100 სმ - ჭუჭყიანი ყავისფერი, გორიხოვანი-კომპოვანი სტრუქტურით, მკვრივი აგებულებით, მძიმე თიხნარი, ტენიანი, კირის თვლები დიდი რაოდენობით.

B3 – 100-130 სმ - მოჩალისფრო, სუსტად გამოხატული სტრუქტურით, კირის ფიფქებით, მძიმე თიხნარი, ტენიანი.

საველე აღწერის მიხედვით ამ ნიადაგის პროფილის სისქე 110-120 სმ-ს შეადგენს, აქტიური ჰუმუსიანი ფენა კი - 50-60 სმ-ია.

აღნიშნული ნიადაგი მექანიკური შედგენილობის მიხედვით მსუბუქ თიხებს მიეკუთვნება, რომლის შემცველობა პირველ სამ ფენაში 66,7 – 60,6%-ის ფარგლებშია, ქვევით კი მძიმე თიხნარისკენაა გადახრილი.

ჰუმუსის შემცველობა ნიადაგის აქტიურ ფენაში საშუალოზე დაბალია და 2,04 1,00%-ის ფარგლებშია, ქვედა ფენებში კი უფრო მკვეთრად მცირდება. დაბალია საერთო აზოტის შემცველობაც და ნიადაგის აქტიურ ფენაში 0,102%-ს არ აღემატება. ასევე საშუალოზე დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება ჰიდროლიზური აზოტი, რომელიც 6,15 მგ-ს არ აღემატება 100 გ ნიადაგში. ძალზე ღარიბია მცენარისათვის შესათვისებელი ფოსფორი. იგი მხოლოდ კვალის სახითაა წარმოდგენილი. გაცვლითი კალიუმი კი მხოლოდ სახნავ ქვედა ფენაშია (25-50 სმ) საშუალო რაოდენობით, ხოლო პირველ და მესამე ფენაში მისი შემცველობა დაბალია.

კარბონატებს პირველ - ორ ფენაში (0 – 50 სმ) მცირე რაოდენობით შეიცავს, ქვევით კი მისი შემცველობა საკმაოდ მაღალია და 10,5- 18,0%-ს შეადგენს. ნიადაგის ხსნარის რეაქცია (PH) საშუალო ტუტეა და PH-ის მაჩვენებელი 8,2- 8,5-ის ფარგლებშია.

3.6. ცდის შედეგები

ციცქას OIV დესკრიპტორებით აღწერის შედეგები

ახალგაზრდა ყლორტი. ციციქას ახალგაზრდა ყლორტის ზრდის კონუსი ღიაა, ანტოციანური შეფერვა სუსტია, ზრდის კონუსზე განრთხმული შებუსვის სიხშირე მაღალია, მუხლთშორისების შეფერვა მუცლის მხარეზე მწვანე წითელია, ხოლო ზურგის მხარეს მწვანე, თანმიმდევრული პჭკალების რაოდენობა ორი ან ნაკლებია, კვირტების ნაყოფიერება საშუალოა.

ახალგაზრდა ფოთოლი. ახალგაზრდა ფოთლის ზედა მხარის შეფერილობა ბრინჯაოსფერია, ხოლო განრთხმული შებუსვის სიხშირე ძარღვებს შორის ძლიერია.

ზრდასრული ფოთოლი. ზრდასრული ფოთლის ფირფიტის ფორმა სოლისმაგვარია, ფირფიტა ხუთნაკვეთიანია, მთავარი ძარღვების ანტოციანური შეფერილობა ფირფიტის ზედა მხარეზე არ შეინიშნება, ზედაპირის გოფრირება სუსტია, ვერტიკალური კვეთის პროფილი V ფორმისაა, ფირფიტის ზედა ნაწილზე ბურთულოვნება საშუალოა, ყუნწის ამონაკვეთის ფორმა ძირითადად ნახევრად ღიაა, ყუნწის ამონაკვეთი V-ს მსგავსია, განრთხმული შებუსვის სიხშირე ძარღვებს შორის საშუალოა, სწორმდგომი შებუსვის სიხშირე მთავარ ძარღვებზე ან საერთოდ არ არის ან ძალიან სუსტია, ფირფიტის გვერდითი ამონაჭრების სიღრმე ზედაპირულია.

ყვავილი. ორსქესიანი.

მტევანი. მტევანის სიგრძე საშუალოა, მასა პატარაა, საკმაოდ მკვრივია, კონუსური ფორმა აქვს, პირველადი მტევნის ყუნწის სიგრძე ძალიან მოკლეა და მასზე (მტევანზე) განშტოებების რაოდენობა უდრის 1-2-ს.

მარცვალი. მარცვალის ფორმა სფეროსებურია, კანის შეფერილობა მწვანე-ყვითელია, რბილობის ანტოციანური შეფერილობა ან საერთოდ არ არის ან ძალიან სუსტია, რბილობი ოდნავ მკვრივია, მარცვალს დამახასიათებელი გემო არ აქვს, წიპწები განვითარებულია.

ყურძნის წვენის პარამეტრები. წვენში შაქრების შემცველობა მაღალია, საერთო მჟავიანობა საშუალო, ხოლო pH დაბალია.

აგრობიოლოგიური დახასიათება. ციცქა საგვიანო სიმწიფით ხასიათდება, იგი სიმწიფის IV პერიოდის ჯიშია.

დაავადებების მიმართ გამძლეობა. ციცქა მგრძნობიარეა ნაცრის მიმართ და მისგან ადვილად ზიანდება. ჭრაქის მიმართ ციცქას გამძლეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა ცოლიკოურთან შედარებით იგი უფრო ნაკლებად გამძლეა.

ცოლიკოურის OIV დესკრიპტორებით აღწერის შედეგები

ახალგაზრდა ყლორტი. ცოლიკოურის ახალგაზრდა ყლორტის ზრდის კონუსი ღიაა, ანტოციანური შეფერვა ან საერთოდ არ არის ან ძალიან სუსტია, ზრდის კონუსზე განრთხმული შებუსვის სიხშირე ძლიერია, მუხლთშორისების შეფერვა მუცლის მხარეზე წითელია, ხოლო ზურგის მხარეს მწვანე და წითელი, ყლორტს ბუნებრივ მდგომარეობაში ნახევრად ჩამოშვებული ფორმა აქვს, თანმიმდევრული პწკალების რაოდენობა ორი ან ნაკლებია, კვირტების ნაყოფიერება საშუალოა.

ახალგაზრდა ფოთოლი. ახალგაზრდა ფოთლის ზედა მხარის შეფერილობა მწვანეა, ხოლო განრთხმული შებუსვის სიხშირე ძარღვებს შორის ძლიერია.

ზრდასრული ფოთოლი. ზრდასრული ფოთლის ფირფიტის ფორმა სოლიმაგვარია, ფირფიტა ორნაკვეთიანია, მთავარი ძარღვების ანტოციანური შეფერილობა ფირფიტის ზედა მხარეზე პირველ განტოტვამდეა, ზედაპირის გოფრირება სუსტია, ფირფიტის ზედა ნაწილზე ბურთულოვნება საშუალოა, კიდეების კბილების ფორმა ორივე მხარეს სწორია და ორივე მხარეს ამოზნექილია, ყუნწის ამონაკვეთის ფორმა ძირითადად ნახევრად ღიაა, ყუნწის ამონაკვეთი V-ს მსგავსია, განრთხმული შებუსვის სიხშირე ძარღვებს შორის საშუალოა,

სწორმდგომი შებუსვის სიხშირე მთავარ ძარტვებზე ან საერთოდ არ არის ან ძალიან სუსტია, ფირფიტის გვერდითი ამონაჭრების სიღრმე ზედაპირულია.

ყვავილი. ორსქესიანი.

მტევანი. მტევანის სიგრძე საშუალოა და კონუსური ფორმა აქვს, პირველადი მტევნის ყუნწის სიგრძე მოკლეა, პირველად მტევანზე განშტოებების რაოდენობა 3-4-ს უდრის.

მარცვალი. მარცვალის ფორმა ელიფსურია, სიგრძე და სიგანე საშუალოა, კანის შეფერილობა მწვანე-ყვითელია, რბილობის ანტოციანური შეფერილობა ან საერთოდ არ არის ან ძალიან სუსტია, რბილობს სიმკვრივე არ ახასიათებს და რბილია, მარცვალს დამახასიათებელი გემო არ აქვს, წიპწები განვითარებულია.

ყურძნის წვენის პარამეტრები. წვენში შაქრების შემცველობა მაღალია, საერთო მჟავიანობა საშუალო, ხოლო pH დაბალია.

აგრობიოლოგიური დახასიათება. ცოლიკოური საგვიანო, სიმწიფის IV პერიოდის ვაზის ჯიშებს მიეკუთვნება. იგი გვიან, შემოდგომის მიწურულში მწიფდება.

დაავადებების მიმართ გამძლეობა. ცოლიკოური ჭრაქის მიმართ მაღალი გამძლეობით ხასიათდება, ხოლო ნაცრის მიმართ საშუალო გამძლეობას იჩენს.

კრახუნას OIV დესკრიპტორებით აღწერის შედეგები

ახალგაზრდა ყლორტი. ცოლიკოურის ახალგაზრდა ყლორტის ზრდის კონუსი ღიაა, ანტოციანური შეფერვა დაბალია, ზრდის კონუსზე განრთხმული შებუსვის სიხშირე საშუალოა, მუხლთშორისების შეფერვა როგორც მუცლის ისე ზურგის მხარეზე მწვანე-წითელია, ყლორტს ბუნებრივ მდგომარეობაში ჰორიზონტალური დგომა ახასიათებს, თანმიმდევრული პწკალების რაოდენობა ორი ან ნაკლებია, კვირტების ნაყოფიერება საშუალოა.

ახალგაზრდა ფოთლი. ახალგაზრდა ფოთლის ზედა მხარის შეფერილობა ყვითელია, ხოლო განრთხმული შებუსვის სიხშირე ძარღვებს შორის ძლიერია.

ზრდასრული ფოთოლი. ზრდასრული ფოთლის ფირფიტის ფორმა სოლისებურია, ფირფიტა ხუთნაკვეთიანია, მთავარი ძარღვების ანტოციანური შეფერილობა ფირფიტის ზედა მხარეზე მხოლოდ ყუნწის ამონაკვეთთან არის, ზედაპირის გოფირება საშუალოა, ფირფიტის ზედა ნაწილზე ბურთულოვნება საშუალოა, კიდეების კბილების ფორმა ორივე მხარეს სწორია და ორივე მხარეს ამოზნექილია, ყუნწის ამონაკვეთის ფორმა ძირითადად დახურულია, ყუნწის ამონაკვეთი V-ს მსგავსია, ყუნწის ამონაკვეთში დეზები არ არის, ყუნწის ამონაკვეთი არ არის ძარღვით შემოსაზღვრული, განრთხმული შებუსვის სიხშირე ძარღვებს შორის საშუალოა, სწორმდგომი შებუსვის სიხშირე მთავარ ძარღვებზე ან საერთოდ არ არის ან ძალიან სუსტია, ფირფიტის გვერდითი ამონაჭრების სიღრმე ზედაპირულია.

ყვავილი. ორსქესიანი.

მტევანი. მტევანის სიგრძე საშუალოა, მტევანი საშუალო სიკუმსისაა, ძაბრის მაგვარი ფორმა აქვს, პირველადი მტევნის ყუნწის სიგრძე საშუალოა, პირველად მტევანზე განშტოებების რაოდენობა 3-4-ს უდრის.

მარცვალი. მარცვალის ფორმა სფეროსებურია, მარცვალი სიგრძეში მოკლეა, ხოლო სიგანეში ვიწრო, კანის შეფერილობა მწვანე-ყვითელია, რბილობის ანტოციანური შეფერილობა ან საერთოდ არ არის ან ძალიან სუსტია, რბილობს სიმკვრივე არ ახასიათებს და რბილია, მარცვალს დამახასიათებელი გემო არ აქვს, წიპწები განვითარებულია.

ყურძნის წვენის პარამეტრები. წვენში შაქრების შემცველობა ძალიან მაღალია, საერთო მჟავიანობა საშუალო, ხოლო pH დაბალია.

აგრობიოლოგიური დახასიათება. სიმწიფის ვადის მიხედვით, კრახუნა სიმწიფის III პერიოდის ვაზის ჯიშებს მიეკუთვნება, იგი ციცქასა და ცოლიკოურზე ერთი პერიოდით უფრო ადრე მწიფდება.

დაავადებების მიმართ გამძლეობა. კრახუნა ჭრაქს ნაკლებად უძლებს, ხოლო ნაცრის მიმართ იგი საშუალოდ გამძლეა.

კაპისტონი თეთრის OIV დესკრიპტორებით აღწერის შედეგები

ახალგაზრდა ყლორტი. თეთრი კაპისტონის ახალგაზრდა ყლორტის ზრდის კონუსი ღიაა, ანტოციანური შეფერვა სუსტია, ზრდის კონუსზე განრთხმული შებუსვის სიხშირე ძლიერია, მუხლთშორისების შეფერვა მუცლის მხარეზე მწვანეა, ხოლო ზურგის მხარეს მწვანე და წითელი, ყლორტს ბუნებრივ მდგომარეობაში ნახევრად ჩამოშვებული ფორმა აქვს, თანმიმდევრული პწკალების რაოდენობა ორი ან ნაკლებია, კვირტების ნაყოფიერება საშუალოა.

ახალგაზრდა ფოთოლი. ახალგაზრდა ფოთლის ზედა მხარის შეფერილობა ბრინჯაოსფერია, ხოლო განრთხმული შებუსვის სიხშირე ძარღვებს შორის საშუალოა.

ზრდასრული ფოთოლი. ზრდასრული ფოთლის ფირფიტის ფორმა სოლისებურია, ფირფიტა ხუთნაკვეთიანია, მთავარი ძარღვების ანტოციანური შეფერილობა ფირფიტის ზედა მხარეზე არ შეინიშნება, ზედაპირის გოფირება არ არის ან ძალიან სუსტია, ფირფიტის ზედა ნაწილზე ბურთულოვნება საშუალოა, კიდეების კბილების ფორმა ორივე მხარეს სწორია ან ორივე მხარეს ამოზნექილი, ყუნწის ამონაკვეთის ფორმა ძირითადად ნახევრად ღიაა, ყუნწის ამონაკვეთში გვხდება დეზი და არ არის ძარღვით შემოსაზღვრული, განრთხმული შებუსვის სიხშირე ძარღვებს შორის მაღალია, სწორმდგომი შებუსვის სიხშირე მთავარ ძარღვებზე ან საერთოდ არ არის ან ძალიან სუსტია, ფირფიტის გვერდითი ამონაჭრების სიღრმე ზედაპირულია.

ყვავილი. ორსქესიანი.

მტევანი. მტევანი სიგრძეში მოკლეა, მტევანი მკვრივია და ცილინდრული ფორმა აქვს, პირველადი მტევნის ყუნწის სიგრძე მოკლეა, პირველად მტევანზე განშტოებების რაოდენობა 1-2-ს უდრის.

მარცვალი. მარცვალის ფორმა სფეროსებურია, სიგრძეში მოკლეა, ხოლო სიგანეში ვიწრო, კანის შეფერილობა მწვანე-ყვითელია, რბილობის ანტოციანური

შეფერილობა ან საერთოდ არ არის ან ძალიან სუსტია, რბილობი ოდნავ მკვრივია, მარცვალს დამახასიათებელი გემო არ აქვს, წიპწები განვითარებულია.

ყურძნის წვენის პარამეტრები. წვენში შაქრების შემცველობა მაღალია, საერთო მჟავიანობა საშუალო, ასევე საშუალოა წვენის pH-ს მაჩვენებელი.

აგრობიოლოგიური დახასიათება. ზემოთ აღნიშნულ ჯიშებთან შედარებით თეთრი კაპისტონი საადრეოა, მისი ყურძენი რამდენიმე დღით უფრო ადრე მწიფდება ვიდრე ციცქა, ცოლიკოური და კრახუნა.


დაავადებების მიმართ გამძლეობა. თეთრი კაპისტონის გამძლეობა ჭრაქის მიმართ საშუალოა. შედარებით კარგი გამძლეობით ხასიათდება ნაცრის მიმართ გამძლეობით.

3.7. ციცქას, ცოლიკოურის, კრახუნასა და კაპისტონი თეთრის OIV დესკრიპტორებით შეფასება

თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით, ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) დესკრიპტორების მიხედვით შესწავლილია და ცხრილების სახით წარმოდგენილი, ციცქას, ცოლიკოურის, კრახუნას და კაპისტონი თეთრის 45 ბოტანიკური და სამეურნეო-ტექნოლოგიური ნიშან-თვისების შეფასების შედეგები.

ყველაზე მეტი, 15 ნიშანი აღწერილია ზრდასრული ფოთლის შემთხვევაში, ხოლო ყლორტისა და მარცვლის შემთხვევაში აღწერილია 9-9 ნიშანი.

დიაგრამა 1.



ციცქა



ცხრილი 1. ციციქას აღწერის შედეგები

| OIV კოდი | ნიშანი | შეფასება |
|----------|--|-----------------------------|
| OIV001 | ახალგაზრდა ყლორტი: ზრდის კონუსის ფორმა | 5 ღია |
| OIV003 | ახალგაზრდა ყლორტი: ზრდის კონუსის ანტოციანური შეფერვა | 3 დაბალი |
| OIV004 | ახალგაზრდა ყლორტი: განრთხმული შებუსვის სიხშირე ზრდის კონუსზე | 7 ძლიერი |
| OIV006 | ყლორტი: დგომა | 3 ნახევრად სწორმდგომი |
| OIV007 | ყლორტი: მუხლთმორისების შეფერვა ზურგის მხარეზე | 1 მწვანე |
| OIV008 | ყლორტი: მუხლთმორისების შეფერვა მუცლის მხარეზე | 2 მწვანე წითელი |

| | | |
|----------|---|-------------------------------|
| OIV016 | ყლორტი: თანმიმდევრული პწკალების რაოდენობა | 1 ორი ან ნაკლები |
| OIV051 | ახალგაზრდა ფოთოლი: ფოთლის ზედა მხარის შეფერილობა (მე-4 ფოთოლი) | 3 ბრინჯაოსფერი |
| OIV053 | ახალგაზრდა ფოთოლი: განრთხმული შებუსვის სიხშირე ძარღვებს შორის | 7 ძლიერი |
| OIV067 | ზრდასრული ფოთოლი: ფირფიტის ფორმა | 2 სოლისებური |
| OIV068 | ზრდასრული ფოთოლი: ფირფიტის ნაკვეთების რაოდენობა | 3 ხუთნაკვეთიანი |
| OIV070 | ზრდასრული ფოთოლი: მთავარი ძარღვების ანტოციანური შეფერილობა ფირფიტის ზედა მხარეზე | 1 არ არსებობს |
| OIV072 | ზრდასრული ფოთოლი: ზედაპირის გოფირება | 3 სუსტი |
| OIV074 | ზრდასრული ფოთოლი: ვერტიკალური კვეთის პროფილი | 2 V-ს მსგავსი |
| OIV 075 | ზრდასრული ფოთოლი: ფირფიტის ზედა ნაწილზე ბურთულოვნება | 5 საშუალო |
| OIV076 | ზრდასრული ფოთოლი: კიდების კბილების ფორმა | 2 ორივე მხარე სწორი |
| OIV079 | ზრდასრული ფოთოლი: ყუნწის ამონაკვეთის ძირითადი ფორმა | 3 ნახევრად ღია |
| OIV080 | ზრდასრული ფოთოლი: ყუნწის ამონაკვეთი | 3 V-ს მსგავსი |
| OIV081-1 | ზრდასრული ფოთოლი: დეზის არსებობა ყუნწის ამონაკვეთში | 1 არ არსებობს |
| OIV081-2 | ზრდასრული ფოთოლი: ყუნწის ამონაკვეთის ძარღვით შემოსაზღვრულობა | 1 არ არის შემოსაზღვრული |

| | | |
|----------|--|----------------------------------|
| OIV083-2 | ზრდასრული ფოთოლი: კბილები ფირფიტის კიდეების ამონაჭრებზე | 9 არის |
| OIV084 | ზრდასრული ფოთოლი: განრთხმული შებუსვის სიხშირე ძარღვებს შორის | 5 საშუალო |
| OIV087 | ზრდასრული ფოთოლი: სწორმდგომი შებუსვის სიხშირე მთავარ ძარღვებზე | 1 არ არის ან ძალიან სუსტია |
| OIV094 | ზრდასრული ფოთოლი: ფირფიტის გვერდითი ამონაჭრების სიღრმე | 3 ზედაპირული |
| OIV 151 | ყვავილედ: ყვავილის სქესი | 3 ორსქესიანი |
| OIV155 | ყლორტი: კვირტების ნაყოფიერება | 5 საშუალო |
| OIV202 | მტევანი: სიგრძე | 5 საშუალო |
| OIV204 | მტევანი: მტევნის სიკუმსე | 7 მკვრივი |
| OIV206 | მტევანი: პირველადი მტევნის ყუნწის სიგრძე | 1 ძალიან მოკლე |
| OIV208 | მტევანი: ფორმა | 2 კონუსური |
| OIV209 | მტევანი: განშტოებების რაოდენობა პირველად მტევანზე | 2 1-2 განშტოება |
| OIV223 | მარცვალი: ფორმა | 2 სფეროსებური |
| OIV225 | მარცვალი: კანის შეფერილობა | 1 მწვანე ყვითელი |
| OIV231 | მარცვალი: რბილობის ანტოციანური შეფერილობა | 1 არ არის ან ძალიან სუსტია |
| OIV235 | მარცვალი: რბილობის სიმკვრივე | 2 ოდნავ მკვრივი |
| OIV236 | მარცვალი: დამახასიათებელი გემო | 1 გემოს გარეშე |

| | | |
|--------|------------------------------|-------------------------|
| OIV241 | მარცვალი: წიპწების ფორმირება | 3 სრულფასოვანი წიპწა |
| OIV351 | რქის ზრდის სიძლიერე | 5 საშუალო |
| OIV502 | მტევანი: მტევნის მასა | 3 პატარა |
| OIV503 | მარცვალი: მარცვლის მასა | 3 მცირე |
| OIV505 | წვენში შაქრის შემცველობა | 7 მაღალი |
| OIV506 | წვენის საერთო მჟავიანობა | 5 საშუალო |
| OIV508 | წვენის pH | 3 დაბალი |

ცოლიკოური



ცხრილი 2. ცოლიკოურის აღწერის შედეგები

| OIV კოდი | ნიშანი | შეფასება |
|----------|--|---------------------------------|
| OIV001 | ახალგაზრდა ყლორტი: ზრდის კონუსის ფორმა | 5 ღია |
| OIV003 | ახალგაზრდა ყლორტი: ზრდის კონუსის ანტოციანური შეფერვა | 1 არ არის ან ძალიან სუსტი |
| OIV004 | ახალგაზრდა ყლორტი: განრთხმული შებუსვის სიხშირე ზრდის კონუსზე | 7 ძლიერი |
| OIV006 | ყლორტი: დგომა | 7 ნახევრად სწორმდგომი |
| OIV007 | ყლორტი: მუხლთმორისების შეფერვა ზურგის მხარეზე | 2 მწვანე და წითელი |

| | | |
|---------|---|--|
| OIV008 | ყლორტი: მუხლთშორისების შეფერვა მუცლის მხარეზე | 3 წითელი |
| OIV016 | ყლორტი: თანმიმდევრული პწკალების რაოდენობა | 1 ორი ან ნაკლები |
| OIV051 | ახალგაზრდა ფოთოლი: ფოთლის ზედა მხარის შეფერილობა (მე-4 ფოთოლი) | 1 მწვანე |
| OIV053 | ახალგაზრდა ფოთოლი: განრთხმული შებუსვის სიხშირე ძარღვებს შორის | 7 ძლიერი |
| OIV067 | ზრდასრული ფოთოლი: ფირფიტის ფორმა | 2 სოლისებური |
| OIV068 | ზრდასრული ფოთოლი: ფირფიტის ნაკვეთების რაოდენობა | 2 ორნაკვეთიანი |
| OIV070 | ზრდასრული ფოთოლი: მთავარი ძარღვების ანტოციანური შეფერილობა ფირფიტის ზედა მხარეზე | 3 პირველ განტოტვამდე |
| OIV072 | ზრდასრული ფოთოლი: ზედაპირის გოფრირება | 3 სუსტი |
| OIV 075 | ზრდასრული ფოთოლი: ფირფიტის ზედა ნაწილზე ბურთულოვნება | 5 საშუალო |
| OIV076 | ზრდასრული ფოთოლი: კიდების კბილების ფორმა | 5 ორივე მხარე სწორია, ან ორივე მხარე ამოზნექილი |
| OIV079 | ზრდასრული ფოთოლი: ყუნწის ამონაკვეთის ძირითადი ფორმა | 3 ნახევრად ღია |
| OIV080 | ზრდასრული ფოთოლი: ყუნწის ამონაკვეთი | 3 V-ს მსგავსი |

| | | |
|----------|---|----------------------------------|
| OIV081-1 | ზრდასრული ფოთოლი: დეზის არსებობა ყუნწის ამონაკვეთში | 1 არ არსებობს |
| OIV081-2 | ზრდასრული ფოთოლი: ყუნწის ამონაკვეთის ძარღვით შემოსაზღვრულობა | 1 არ არის შემოსაზღვრული |
| OIV083-2 | ზრდასრული ფოთოლი: კბილები ფირფიტის კიდეების ამონაჭრებზე | 9 არის |
| OIV084 | ზრდასრული ფოთოლი: განრთხმული შებუსვის სიხშირე ძარღვებს შორის | 5 საშუალო |
| OIV087 | ზრდასრული ფოთოლი: სწორმდგომი შებუსვის სიხშირე მთავარ ძარღვებზე | 1 არ არის ან ძალიან სუსტია |
| OIV 151 | ყვავილედი: ყვავილის სქესი | 3 ორსქესიანი |
| OIV155 | ყლორტი: კვირტების ნაყოფიერება | 5 საშუალო |
| OIV202 | მტევანი: სიგრძე | 5 საშუალო |
| OIV204 | მტევანი: მტევნის სიკუმსე | 3 თავისუფალი |
| OIV206 | მტევანი: პირველადი მტევნის ყუნწის სიგრძე | 3 მოკლე |
| OIV208 | მტევანი: ფორმა | 2 კონუსური |
| OIV209 | მტევანი: განშტოებების რაოდენობა პირველად მტევანზე | 3 3-4 განშტოება |
| OIV220 | მარცვალი: სიგრძე | 5 საშუალო |
| OIV221 | მარცვალი: სიგანე | 5 საშუალო |

| | | |
|--------|--|----------------------------------|
| OIV223 | მარცვალი: ფორმა | 3 ფართო ელიფსური |
| OIV225 | მარცვალი: კანის შეფერილობა | 1 მწვანე ყვითელი |
| OIV231 | მარცვალი: რბილობის ანტოციანური შეფერილობა | 1 არ არის ან ძალიან სუსტია |
| OIV235 | მარცვალი: რბილობის სიმკვრივე | 1 რბილი |
| OIV236 | მარცვალი: დამახასიათებელი გემო | 1 გემოს გარეშე |
| OIV241 | მარცვალი: წიპწების ფორმირება | 3 სრულფასოვანი წიპწა |
| OIV505 | წვენში შაქრის შემცველობა | 7 მაღალი |
| OIV506 | წვენის საერთო მჟავიანობა | 5 საშუალო |
| OIV508 | წვენის pH | 3 დაბალი |

კრახუნა



ცხრილი 3. კრახუნას აღწერის შედეგები

| OIV კოდი | ნიშანი | შეფასება |
|----------|---|--------------------|
| OIV001 | ახალგაზრდა ყლორტი: ზრდის კონუსის ფორმა | 5 ღია |
| OIV003 | ახალგაზრდა ყლორტი: ზრდის კონუსის ანტოციანური შეფერვა | 3 დაბალი |
| OIV004 | ახალგაზრდა ყლორტი: განრთხმული შებუსვის სიხშირე ზრდის კონუსზე | 5 საშუალო |
| OIV006 | ყლორტი: დგომა | 5 ჰორიზონტალური |

| | | |
|---------|--|---|
| OIV007 | ყლორტი: მუხლთშორისების შეფერვა ზურგის მხარეზე | 2 მწვანე და წითელი |
| OIV008 | ყლორტი: მუხლთშორისების შეფერვა მუცლის მხარეზე | 2 მწვანე წითელი |
| OIV016 | ყლორტი: თანმიმდევრული პწკალების რაოდენობა | 1 ორი ან ნაკლები |
| OIV051 | ახალგაზრდა ფოთოლი: ფოთლის ზედა მხარის შეფერილობა (მე-4 ფოთოლი) | 2 ყვითელი |
| OIV053 | ახალგაზრდა ფოთოლი: განრთხმული შებუსვის სიხშირე ძარღვებს შორის | 7 ძლიერი |
| OIV067 | ზრდასრული ფოთოლი: ფირფიტის ფორმა | 2 სოლისებური |
| OIV068 | ზრდასრული ფოთოლი: ფირფიტის ნაკვეთების რაოდენობა | 3 ხუთნაკვეთიანი |
| OIV070 | ზრდასრული ფოთოლი: მთავარი ძარღვების ანტოციანური შეფერილობა ფირფიტის ზედა მხარეზე | 2 მხოლოდ ყუნწის ამონაკვეთის წვერზე |
| OIV072 | ზრდასრული ფოთოლი: ზედაპირის გოფრირება | 5 საშუალო |
| OIV 075 | ზრდასრული ფოთოლი: ფირფიტის ზედა ნაწილზე ბურთულოვნება | 5 საშუალო |
| OIV076 | ზრდასრული ფოთოლი: კიდების კბილების ფორმა | 5 ორივე მხარე სწორია ან ორივე მხარე ამოზნექილი |

| | | |
|----------|--|----------------------------------|
| OIV079 | ზრდასრული ფოთოლი: ყუნწის ამონაკვეთის ძირითადი ფორმა | 5 დახურული |
| OIV080 | ზრდასრული ფოთოლი: ყუნწის ამონაკვეთი | 3 V-ს მსგავსი |
| OIV081-1 | ზრდასრული ფოთოლი: დეზის არსებობა ყუნწის ამონაკვეთში | 1 არ არსებობს |
| OIV081-2 | ზრდასრული ფოთოლი: ყუნწის ამონაკვეთის ძარღვით შემოსაზღვრულობა | 1 არ არის შემოსაზღვრული |
| OIV083-2 | ზრდასრული ფოთოლი: კბილები ფირფიტის კიდეების ამონაჭრებზე | 9 არის |
| OIV084 | ზრდასრული ფოთოლი: განრთხმული შებუსვის სიხშირე ძარღვებს შორის | 5 საშუალო |
| OIV087 | ზრდასრული ფოთოლი: სწორმდგომი შებუსვის სიხშირე მთავარ ძარღვებზე | 1 არ არის ან ძალიან სუსტია |
| OIV094 | ზრდასრული ფოთოლი: ფირფიტის გვერდითი ამონაჭრების სიღრმე | 3 ზედაპირული |
| OIV 151 | ყვავილედი: ყვავილის სქესი | 3 ორსქესიანი |
| OIV155 | ყლორტი: კვირტების ნაყოფიერება | 5 საშუალო |
| OIV202 | მტევანი: სიგრძე | 5 საშუალო |
| OIV204 | მტევანი: მტევნის სიკუმსე | 5 საშუალო |
| OIV206 | მტევანი: პირველადი მტევნის ყუნწის სიგრძე | 5 საშუალო |

| | | |
|--------|---|----------------------------------|
| OIV208 | მტევანი: ფორმა | 3 მაზრის ფორმის |
| OIV209 | მტევანი: განშტოებების რაოდენობა პირველად მტევანზე | 3 3-4 განშტოება |
| OIV220 | მარცვალი: სიგრძე | 3 მოკლე |
| OIV221 | მარცვალი: სიგანე | 3 ვიწრო |
| OIV223 | მარცვალი: ფორმა | 2 სფეროსებური |
| OIV225 | მარცვალი: კანის შეფერილობა | 1 მწვანე ყვითელი |
| OIV231 | მარცვალი: რბილობის ანტოციანური შეფერილობა | 1 არ არის ან ძალიან სუსტია |
| OIV235 | მარცვალი: რბილობის სიმკვრივე | 1 რბილი |
| OIV236 | მარცვალი: დამახასიათებელი გემო | 1 გემოს გარეშე |
| OIV241 | მარცვალი: წიპწების ფორმირება | 3 სრულფასოვანი წიპწა |
| OIV505 | წვენში შაქრის შემცველობა | 9 ძალიან მაღალი |
| OIV506 | წვენის საერთო მჟავიანობა | 5 საშუალო |
| OIV508 | წვენის pH | 3 დაბალი |

კაპისტონი თეთრი



ცხრილი 4. კაპისტონი თეთრის აღწერის შედეგები

| OIV კოდი | ნიშანი | შეფასება |
|----------|--|------------------------------|
| OIV001 | ახალგაზრდა ყლორტი: ზრდის კონუსის ფორმა | 5 ღია |
| OIV003 | ახალგაზრდა ყლორტი: ზრდის კონუსის ანტოციანური შეფერვა | 3 სუსტი |
| OIV004 | ახალგაზრდა ყლორტი: განრთხმული შებუსვის სიხშირე ზრდის კონუსზე | 7 ძლიერი |
| OIV006 | ყლორტი: დგომა | 7 ნახევრად ჩამოშვებული |

| | | |
|---------|--|---|
| OIV007 | ყლორტი: მუხლთშორისების შეფერვა ზურგის მხარეზე | 2 მწვანე და წითელი |
| OIV008 | ყლორტი: მუხლთშორისების შეფერვა მუცლის მხარეზე | 1 მწვანე |
| OIV016 | ყლორტი: თანმიმდევრული პწკალების რაოდენობა | 1 ორი ან ნაკლები |
| OIV051 | ახალგაზრდა ფოთოლი: ფოთლის ზედა მხარის შეფერილობა (მე-4 ფოთოლი) | 3 ბრინჯაოსფერი |
| OIV053 | ახალგაზრდა ფოთოლი: განრთხმული შებუსვის სიხშირე ძარღვებს შორის | 5 საშუალო |
| OIV067 | ზრდასრული ფოთოლი: ფირფიტის ფორმა | 2 სოლისებური |
| OIV068 | ზრდასრული ფოთოლი: ფირფიტის ნაკვეთების რაოდენობა | 3 ხუთნაკვეთიანი |
| OIV070 | ზრდასრული ფოთოლი: მთავარი ძარღვების ანტოციანური შეფერილობა ფირფიტის ზედა მხარეზე | 1 არ არსებობს |
| OIV072 | ზრდასრული ფოთოლი: ზედაპირის გოფირება | 1 არ არის ან ძალიან სუსტი |
| OIV 075 | ზრდასრული ფოთოლი: ფირფიტის ზედა ნაწილზე ბურთულოვნება | 5 საშუალო |
| OIV076 | ზრდასრული ფოთოლი: კიდეების კბილების ფორმა | 5 ორივე მხარე სწორია და ორივე მხარე ამოზნექილი |

| | | |
|----------|--|----------------------------------|
| OIV079 | ზრდასრული ფოთოლი: ყუნწის ამონაკვეთის ძირითადი ფორმა | 3 ნახევრად ღია |
| OIV080 | ზრდასრული ფოთოლი: ყუნწის ამონაკვეთი | 2 { მსგავსი |
| OIV081-1 | ზრდასრული ფოთოლი: დეზის არსებობა ყუნწის ამონაკვეთში | 9 არის |
| OIV081-2 | ზრდასრული ფოთოლი: ყუნწის ამონაკვეთის ძარღვით შემოსაზღვრულობა | 1 არ არის შემოსაზღვრული |
| OIV083-2 | ზრდასრული ფოთოლი: კბილები ფირფიტის კიდეების ამონაჭრებზე | 9 არის |
| OIV084 | ზრდასრული ფოთოლი: განთხმული შებუსვის სიხშირე ძარღვებს შორის | 7 მაღალი |
| OIV087 | ზრდასრული ფოთოლი: სწორმდგომი შებუსვის სიხშირე მთავარ ძარღვებზე | 1 არ არის ან ძალიან სუსტია |
| OIV 151 | ყვავილეთი: ყვავილის სქესი | 3 ორსქესიანი |
| OIV155 | ყლორტი: კვირტების ნაყოფიერება | 5 საშუალო |
| OIV202 | მტევანი: სიგრძე | 3 მოკლე |
| OIV204 | მტევანი: მტევნის სიკუმსე | 7 მკვრივი |
| OIV206 | მტევანი: პირველადი მტევნის ყუნწის სიგრძე | 3 მოკლე |
| OIV208 | მტევანი: ფორმა | 1 ცილინდრული |

| | | |
|--------|---|-------------------------------|
| OIV209 | მტევანი: განშტოებების რაოდენობა პირველად მტევანზე | 2 1-2 განშტოება |
| OIV220 | მარცვალი: სიგრძე | 3 მოკლე |
| OIV221 | მარცვალი: სიგანე | 3 ვიწრო |
| OIV223 | მარცვალი: ფორმა | 2 სფეროსებური |
| OIV225 | მარცვალი: კანის შეფერილობა | 1 მწვანე ყვითელი |
| OIV231 | მარცვალი: რბილობის ანტოციანური შეფერილობა | 1 არ არის ან ძალიან სუსტია |
| OIV235 | მარცვალი: რბილობის სიმკვრივე | 2 ოდნავ მკვრივი |
| OIV236 | მარცვალი: დამახასიათებელი გემო | 1 გემოს გარეშე |
| OIV241 | მარცვალი: წიპწების ფორმირება | 3 სრულფასოვანი წიპწა |
| OIV505 | წვენში შაქრის შემცველობა | 7 მაღალი |
| OIV506 | წვენის საერთო მჟავიანობა | 5 საშუალო |
| OIV508 | წვენის pH | 5 საშუალო |

4. დასკვნა

იმერეთში გავრცელებული თეთრყურძნიანი საღვინე ვაზის ჯიშების ციცქას, ცოლიკოურის, კრახუნას და კაპისტონი თეთრის, ბოტანიკური, ბიოლოგიური და სამეურნეო თვისებების შესწავლის შედეგად მოპოვებული მასალების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. ციცქა

- ციცქას კვირტების ნაყოფიერება საშუალოა, ყვავილი ორსქესიანია.
- მტევანი საშუალო ზომისაა და საკმადო კუმსია.
- წვენში შაქრების შემცველობა მაღალია, საერთო მჟავიანობა საშუალო, pH კი დაბალია.
- სიმწიფის პერიოდის მიხედვით საგვიანოა - ეკუთვნის IV პერიოდის ჯგუფს.
- ახასიათებს მაღალი მოსავლიანობა და პროდუქციის მაღალი ხარისხი.
- სოკოვან დაავადებათა (ჭრაქი, ნაცარი) მიმართ დაბალი გამძლეობისაა.

2. ცოლიკოური

- ცოლიკოურის კვირტების ნაყოფიერება საშუალოა, ყვავილი ორსქესიანია.
- მტევანი საშუალო ზომისაა.
- წვენში შაქრების შემცველობა მაღალია, საერთო მჟავიანობა საშუალო, pH კი დაბალია.
- სიმწიფის პერიოდის მიხედვით ეკუთვნის IV პერიოდის ჯგუფს.
- ახასიათებს საშუალო და საშუალოზე მაღალი მოსავლიანობა.
- ჭრაქის მიმართ შედარებით გამძლეა, ხოლო ნაცრის მიმართ შედარებით დაბალი გამძლეობისაა.

- გამოირჩევა გარემო პირობებისადმი კარგი შეგუებით.

3. კრაზუნა.

- კრაზუნას კვირტების ნაყოფიერება საშუალოა, ყვავილი ორსქესიანია.
- მტევანი საშუალო ზომისა და საშუალო სიკუმსისაა.
- წვენში შაქრების შემცველობა ძალიან მაღალია, საერთო მჟავიანობა საშუალო, pH კი დაბალია.
- სიმწიფის პერიოდის მიხედვით ეკუთვნის III პერიოდის ჯგუფს.
- გამოირჩევა შაქრების დაგროვების მაღალი უნარით, კარგი მოსავლიანობითა და პროდუქციის მაღალი ხარისხით.
- ჯიშის გააჩნია პერსპექტივა ბუნებრივად ნახევრად ტკბილი ღვინოების დასამზადებლად.
- სოკოვანი დაავადებების მიმართ, განსაკუთრებით ჭრაქისადმი, დაბალი გამძლეობისაა.

4. კაპისტონი თეთრი

- კაპისტონი თეთრის კვირტების ნაყოფიერება საშუალოა, ყვავილი ორსქესიანია.
- მტევანი პატარა ზომისა და კუმსი.
- წვენში შაქრების შემცველობა მაღალია, საერთო მჟავიანობა საშუალო, pH-იც საშუალოა.
- სიმწიფის პერიოდის მიხედვით ეკუთვნის II-III პერიოდის ჯგუფს.
- კაპისტონ თეთრს კარგი პერსპექტივა გააჩნია ცქრიალი ღვინომასალაში გამოსაყენებლად.

5. რეკომენდაცია

OIV-ის დესკრიპტორების მიხედვით შესწავლილი ციცქას, ცოლიკოურის, კრახუნას და კაპისტონი თეთრის 46 ნიშანი გათვალისწინებული იქნება ვეგეტაციურ თაობაში სამეურნეო ღირებულების, ნიშან-თვისებების ქცევების პროგნოზირებისათვის, ჯიშის იდენტიფიკაციისათვის, აგროტექნოლოგიური ღონისძიებებისთვის და სხვას.

6. გამოყენებული ლიტერატურა

1. კეცხოველი ნ., რამიშვილი მ., ტაბიძე დ. „საქართველოს ამპელოგრაფია“. თბილისი, 1960.
2. რამიშვილი მ. „ამპელოგრაფია“. თბილისი, 1986.
3. რამიშვილი რ. „ქართული ვაზისა და ღვინის ისტორია“.
4. სონღულაშვილი ჯ.—„საქართველოს მევენახეობა -მეღვინეობის ისტორიისათვის“. წიგნი II, თბილისი 1974.
5. ტაბიძე დ. „მევენახეობის განვითარება საქართველოში“. თბილისი, 1950.
6. ქანთარია ვ., რამიშვილი მ. „მევენახეობა“. თბილისი, 1965.
7. თურმანიძე თ. „ვაზის ეკოლოგია“ თბილისი, 2003.
8. ჩოლოყაშვილი ს. „მევენახეობის სახელმძღვანელო“. წიგნი მეორე, ამპელოგრაფია, თბილისი, 1939.
9. ცერცვაძე ნ. „საქართველოს ვაზის კლასიფიკაცია“. თბილისი, 1989.
10. ცერცვაძე ნ. „ქართული კულტურული ვაზის ჯიშების კლასიფიკაცია“. თბილისი, 2002-2003.
11. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, <http://srca.gov.ge/about/bases>
12. G. Muñoz-Organero, L. Gaforio, S. García-Muñoz, F. Cabello, „MANUAL FOR STANDARIZATION OF VITISDESCRIPTORS“. Madrid, 2010.
13. „Primary and secondary descriptors“, 2007.